ალტერნატიული სკოლამდელი განათლება ადგილობრივი საზოგადოებისა და სასოფლო ტერიტორიების განვითარებისათვის

ალტერნატიული სკოლამდელი განათლება ადგილობრივი საზოგადოებისა და სასოფლო ტერიტორიების განვითარებისათვის

თბილისი, 2012

პოლონეთის დახმარება

www.polskapomoc.gov.pl.

პროექტი დაფინანსებულია პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ 2012 წლის საერთაშორისო დახმარების პროგრამის ფარგლებში.

წიგნში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და არ გამოხატავს პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიციას.

The Project is co-financed by the Polish development cooperation programme 2012 of the Ministry of Foreign Affairs of the Republic of Poland.

The publication expresses exclusively the views of the authors and cannot be identified with the official stance of the Ministry of Foreign Affairs of the Republic of Poland.

Civitas GEORGICA

www.civitas.ge

SOS EDUKATOR

www.sosedukator.pl

رедاქტორი: ოლღა მუსხელიშვილი

მხატვარი: სოფო ელიაშვილი

ISBN 978-9941-0-5166-1

© საერთაშორისო ასოციაცია “კივიტას გეორგიკა“

ავტორებისგან

წინამდებარე წიგნი განკუთვნილია ყველასთვის, ვინც დაინტერესებულია საქართველოში განათლების, კერძოდ კი სკოლამდელი განათლების განვითარებით. ის წარმოადგენს იმ გამოცდილების შეჯამებას, რომელიც ჩვენ - საერთაშორისო ასოციაციას „კივიტას გეორგიკა“ - დაგვიგროვდა სკოლამდელი განათლების სფეროში ხუთწლიანი წარმატებული მუშაობის შედეგად. იმედი გვავს, რომ ეს წიგნი საინტერესო იქნება არა მარტო მათთვის, ვინც უშუალოდ მუშაობს სკოლამდელი განათლების სფეროში. ვფიქრობთ, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვების მშობლებიც იპოვიან აქ თავისთვის საინტერესო ინფორმაციას.

ბავშვის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სიცოცხლის პირველ ექვს წელიწადს. სწორედ ამ ასაკში ხდება პიროვნების იმ თვისებებისა და უნარების ჩამოყალიბება, რომლებიც მომავალში განსაზღვრავს მის წარმატებებსა და მიღწევებს. ამიტომ არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ექვს წლამდე ასაკის ბავშვებს შევუქმნათ ყველა პირობა მათი ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარებისათვის. კერძოდ, საბავშვო ბაღი ხელმისაწვდომი უნდა იყოს სკოლამდელი ასაკის ყველა ბავშვისთვის.

2006 წელს საქართველოში განათლების რეფორმის შედეგად, საბავშვო ბაღების სისტემა ამოღებულ იქნა განათლების სფეროდან და გადავიდა ადგილობრივი თვითმმართველობების დაქვემდებარებაში. შედეგად ქვეყანაში მასობრივად დაიწყო საბავშვო ბაღების ლიკვიდაცია.

2001-2007 წლებში, პოლონეთში, ანალოგიური პრობლემების გადასაწყვეტად დაიწყეს ნოვატორული ფორმების გამოყენება. იქ, სადაც არ არსებობდა საბავშვო ბაღები, გაიხსნა ე.წ. სკოლამდელი განათლების ცენტრები. 2008 წლიდან საერთაშორისო ასოციაციამ “კივიტას გეორგიკა”, პოლონელი პარტნიორების, საზოგადოება “ედუკატორის” დახმარებით, დაიწყო ანალოგიური მეთოდის გამოყენება საქართველოს რეგიონებში.

წიგნის პირველ ნაწილში საუბარია სკოლამდელი განათლების მნიშვნელობაზე და მოცემულია ალტერნატიული სკოლამდელი ცენტრების მოდელი სასოფლო ტერიტორიების განვითარებისთვის. ნაჩვენებია, როგორ ხორციელდება ეს მოდელი პრაქტიკაზე, და რა შედეგებს მივაღწიეთ მუშაობის 5 წლის შედეგად.

წიგნის მეორე ნაწილში - დანართებში - მოვათავსეთ ამონარიდები ჩვენი ძველი პუბლიკაციებიდან - იმ მკითხველისთვის, ვინც მოინდომებს უფრო დეტალურად გაეცნოს საკანონმდებლო თუ ეკონომიკურ ვითარებას სკოლამდელი განათლების სფეროში, ან გაეცნოს სკოლამდელი განათლების ცენტრების მუშაობის პრინციპებსა და მეთოდიკას.



სარჩევი

წინასიტყვაობა: პოლონური გამოცდილება საქართველოსთვის 8

შესავალი: ალტერნატიული სკოლამდელი განათლება საქართველოში 10

“ედუკატორი” და “კივიტას გეორგიკა” – თანამშრომლობის ხუთი წელი სკოლამდელი განათლების განვითარებისთვის 12

რას ნიშნავს სკოლამდელი განათლება? 12
სკოლამდელი განათლება საქართველოში: 2006 წლიდან დღემდე 14
სკოლამდელი განათლების ფინანსური პრობლემები 15
რა არის ალტერნატიული საბავშვო ბაღი? 15
რატომ ალტერნატიული ბაღი? 16
სკოლამდელი განათლების მუნიციპალური სტრატეგიები 17
პედაგოგი 18
პროგრამა 19
სკოლამდელი განათლების ხარისხი 20

რა უნდა ახსოვდეს ადგილობრივ თვითმმართველობას 22

ფოტოალბომი 23

დანართები 29

“ედუკატორი” და “კივიტას გეორგიკა” - ერთად განხორციელებული პროექტები 33
სკოლამდელი განათლების საკანონმდებლო ბაზა - მიმოხილვა 34
სკოლამდელი განათლების ეკონომიკური მდგომარეობის მიმოხილვა 36
სკოლამდელი განათლების ცენტრის პროგრამა 38

ინფორმაცია ორგანიზაციების შესახებ: 56

საგანმანათლებლო საზოგადოება "ედუკატორი" 56
საერთაშორისო ასოციაცია “კივიტას გეორგიკა” 57

წინასიტყვაობა: პოლონური გამოცდილება საქართველოსთვის

2005 წელს პოლონეთში ყოფნისას საშუალება მომეცა გავცნობოდი პოლონური ორგანიზაცია "ედუკატორის" საქმიანობას სკოლამდელი განათლების სფეროში. უნდა აღვნიშნო, რომ მე აღტაცებული დავრჩი იმ ინოვაციური მიდგომებით, რომელსაც ეს ორგანიზაცია იყენებდა და გადავწყვიტე მომეძებნა საშუალება საქართველოშიც გვეცადა მსგავსი პროექტების განხორციელება.

სამწუხაროდ, ჩვენთან ბევრ სოფელში ჯერაც არ არის საბავშვო ბაღი. როგორც წესი, მცირერიცხოვან დასახლებებში, სადაც არ არის ბევრი ბავშვი, მუნიციპალიტეტებს არ ძალუძთ გახსნან, მეტიც, იძულებული არიან დახურონ არსებული ბაღები - მომსახურების სიძვირის და საბიუჯეტო პრობლემების გამო. ეს მკვეთრად ამცირებს ამ ბავშვების ცხოვრებაში წარმატებული სტარტის შანსებს - უნდა გვახსოვდეს, რომ სკოლის ასაკის ბავშვის ინტელექტი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად უზრუნველყოფდნენ უფროსები პირობებს ამ ბავშვის ტვინის აქტიურად მუშაობისთვის მისი ცხოვრების პირველი ექვსი წლის განმავლობაში. აღიარებულია, რომ ბავშვები, რომლებიც არ დადიან საბავშვო ბაღში, ჩამორჩებიან თანატოლებს ინტელექტუალურ განვითარებაში, არ არიან მზად სკოლისთვის და მოკლებული არიან სოციალურ უნარებს.

სკოლამდელი განათლება არასოდეს ყოფილა პრიორიტეტული დარგი საქართველოსთვის. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქვეყანა ანვითარებდა დემოკრატიას, ეკონომიკას, იცვლებოდა კანონმდებლობა, ჩატარდა განათლების რამდენიმე რეფორმაც, მაგრამ სკოლამდელი განათლებისთვის ვერავინ მოიცალა. ამავე დროს სწორედ სკოლამდელი განათლება არის ის საფუძველი, რომელზედაც დგას განათლების შემდგომი საფეხურები - ზოგადი, პროფესიული თუ უმაღლესი განათლება. თუ საფუძველი არ არის მყარი და სანდო... მოკლედ, მეტაფორებს თავი რომ დავანებოთ, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების გარეშე ქვეყანაში ვერ შევქმნით განათლების კარგ სისტემას.

ხოლო ის, რომ განათლების კარგ სისტემას ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ენიჭება საქართველოს განვითარებაში, ახლა უკვე საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია.

სასოფლო განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. ეს განვითარება არ გულისხმობს მხოლოდ ტურიზმის პოპულარიზაციას თუ სოფლის მეურნეობის გამოცოცხლებას. განვითარება მრავალ კომპონენტს მოიცავს და ეკონომიკურ წინსვლასთან ერთად ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ და ინსტიტუციონალურ განვითარებასაც მოიაზრებს. ამისთვის ინოვაციური მიდგომები და ადგილობრივი შესაძლებლობების გაზრდა არის საჭირო. ალტერნატიული სკოლამდელი განათლების ცენტრები სოფლად ასრულებენ არა მხოლოდ საგანმანათლებლო ფუნქციას, არამედ ხელს უწყობენ ადგილობრივი მოსახლეობის მობილიზაციას, მათ ჩართულობას პროცესებში, ინიციატივის გამოჩენას და სათემო პროექტების განხორციელებას. ეს ცენტრები დამატებით მომსახურებასაც ეწევიან - ექიმი-პედიატრის მომსახურება, ფსიქოლოგიური ტესტირება, იურიდიული კონსულტაციები.

უნდა აღინიშნოს, რომ პოლონურ გამოცდილებას ნოყიერი ნიადაგი დახვდა საქართველოში. ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა კმაყოფილების მაღალი ხარისხი მშობლებში, დაწყებითი კლასების პედაგოგებში, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებში. პოლონურმა გამოცდილებამ ბიძგი მისცა კივიტასის თანამშრომლობას გაეროს ბავშვთა ფონდთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

ამ წიგნში თავმოყრილია ის გამოცდილება, რაც ჩვენ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შევიძინეთ საქართველოში სკოლამდელი განათლების პოპულარიზაციის და განვითარების პროცესში.

გიორგი მესხიძე
საერთაშორისო ასოციაციის
"კივიტას გეორგიკა" პრეზიდენტი

შესავალი: ალტერნატიული სკოლამდელი განათლება საქართველოში

2007 წელს პოლონურმა საგანმანათლებლო ასოციაცია „ედუკატორმა“ დაიწყო საქართველოში პროექტი, რომლის მიზანი იყო პოლონური გამოცდილების გამოყენება ალტერნატიული სკოლამდელი განათლების პოპულარიზაციისათვის.

სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა განსაზღვრავს ბავშვის შემდგომ საგანმანათლებლო და ცხოვრებისეულ წარმატებებს. საქართველოს სოფლებში, ისევე, როგორც პოლონეთში, 3-დან 6 წლამდე ბავშვებისათვის ხელმისაწვდომობა სკოლამდელ განათლებაზე შეზღუდულია. სოფლებში უბრალოდ არ არსებობს საბავშვო ბაღები, ვინაიდან ტრადიციული საბავშვო ბაღი მოითხოვს ბავშვების კვებას, დამხმარე პერსონალს, და აგრეთვე სანიტარული და უსაფრთხოების მკაცრი პირობების დაცვას, რაც მას ძალიან ამძვირებს. ადგილობრივ თვითმმართველობებს არ აქვთ საკმარისი ფინანსური რესურსი ამგვარი ინსტიტუტის შენახვისათვის. არსებობს აგრეთვე მეორე პრობლემაც - სოფლებში ბავშვების არასაკმარისი რაოდენობა „სრულფასოვანი“ საბავშვო ბაღის შექმნისთვის.

პრობლემის გადაჭრის გზა არის ალტერნატიული სკოლამდელი ჯგუფების (ცენტრების) შექმნა და მათი მართვა ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერით. ამ ჯგუფების მთავარი დანიშნულება არის განათლების უზრუნველყოფა, და არა ბავშვების მიხედვა (მეორე ფუნქციას, როგორც წესი, ასრულებენ ბავშვების უმუშევარი დედები ან ბებიები). ალტერნატიულ ჯგუფში ერთი მასწავლებელი მუშაობს ბავშვებთან ოთხი საათის განმავლობაში, კვირაში არანაკლებ ოთხი დღისა. როგორც წესი, ეს არის ასაკობრივად შერეული ჯგუფი. ასეთი ტიპის ჯგუფებში ბავშვები ეხმარებიან ერთმანეთს და სწავლობენ ერთმანეთისაგან, უფროსი ბავშვები ზრუნავენ უმცროსებზე. 16 სამუშაო საათი კვირაში სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ ბავშვმა აითვისოს სკოლამდელი განათლების საბაზისო პროგრამა და მოემზადოს შემდგომი განათლების მისაღებად.

პოლონეთში ასოციაცია „ედუკატორმა“ შექმნა სკოლამდელი განათლების ცენტრების ქსელი 5 რეგიონის ტერიტორიაზე, და წარმატებულად მართავს მათ წლების განმავლობაში. პოლონეთში ვიზიტის დროს ჩვენი ქართველი პარტნიორები გაეცნენ ჩვენს გამოცდილებას და გადაწყვიტეს მისი გამოყენება საკუთარ ქვეყანაში.

სკოლამდელი განათლების ცენტრების შექმნის აუცილებელი პირობა არის ადგილობრივი ხელისუფლების მზადყოფნა უსასყიდლოდ გამოყოს ოთახი ასეთი ცენტრისთვის. თუ ოთახი საჭიროებს რემონტს, პროექტების ფარგლებში ვყიდულობთ საღებავებს ან სხვა სარემონტო მასალებს, ხოლო რემონტს აკეთებენ ბავშვების მშობლები. ჩვენ ვუზრუნველყოფთ ალტერნატიული ცენტრებისთვის საჭირო ავეჯს, სათამაშოებს, წიგნებს, თვალსაჩინოებსა და სხვა სამუშაო მასალებს. მი-

ეწოდებათ თუ არა ბავშვებს საჭმელი, მშობლების გადასაწყვეტია. ეს არის მათი არჩევანი, და მათი დასაორგანიზებელია.

ცენტრის ამუშავებისთანავე ექიმი და ფსიქოლოგი ამოწმებენ ყოველი ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარების დონეს. მათი რჩევები აძლევს მასწავლებელს საშუალებას ყოველი ბავშვისთვის შეიმუშავოს განვითარების ინდივიდუალური პროგრამა. უნდა აღინიშნოს, რომ ექიმისა და ფსიქოლოგის კონსულტაცია მისაწვდომია სოფლის ყველა ბავშვისთვის, და არა მხოლოდ ჩვენი ჯგუფების ბავშვებისათვის.

იმისთვის, რომ ცენტრმა გააგრძელოს მუშაობა, საჭიროა ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერა. ჩვენ ვაფუძნებთ სკოლამდელ ცენტრებს, მაგრამ ველოდებით, რომ შემდგომ ადგილობრივი ხელისუფლება გააგრძელებს ამ ცენტრის დაფინანსებას. მითუმეტეს, რომ თვალსაჩინო ხდება - სკოლამდელი განათლების ასეთი ფორმის დაფინანსება არ მოითხოვს დიდ თანხებს.

მიგვაჩნია, რომ ბავშვების განათლებისა და განვითარების მხარდაჭერა შეიძლება გამოყენებულ იქნას ადგილობრივი საზოგადოების ინტეგრირებისა და სტიმულირებისათვის.

ჩვენი ასოციაციის დახმარებით რამდენიმე რეგიონის თვითმმართველობამ შეიმუშავა სკოლამდელი განათლების გრძელვადიანი სტრატეგიები. აგრეთვე შეიქმნა სკოლამდელი განათლების საავტორო პროგრამა სკოლამდელი განათლების ცენტრებისათვის. გრძელვადიან პერსპექტივაში ვაპირებთ ფართოდ დავნერგოთ ალტერნატიული სკოლამდელი განათლება საქართველოში, ეს მოგვცემს საშუალებას მეტ ბავშვს მივცეთ უკეთესი განათლებისა და უკეთესი მომავლის შანსი.

საქართველოში ჩვენი პარტნიორია საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკა“. ძალიან კმაყოფილი ვართ ჩვენი თანამშრომლობით, და კარგად გვესმის, რომ ყველა ჩვენი გეგმის წარმატებული განხორციელება არის ქართველი კოლეგების დიდი შრომის, პასუხისმგებლობისა და კომპეტენტურობის შედეგი.

მშობლები აფასებენ იმ შესაძლებლობას, რომელიც მიეცათ მათ შვილებს. ზოგჯერ მშობლები უმატებენ კიდეც საკუთარ ბავშვებს ასაკს სკოლამდელი განათლების ცენტრებში მათი ჩარიცხვის მიზნით.

იყო შემთხვევა, როდესაც დედა ორი შვილით დღეში ორჯერ გადიოდა 3 კილომეტრს, რათა მიეყვანა ბავშვები ჩვენს ცენტრში და წამოეყვანა უკან. განმუხურის ერთ-ერთ ჩვენს ცენტრში ბაბუას ყოველდღიურად ნავით გადმოჰყავდა თავისი შვილიშვილი აფხაზეთიდან, სადაც ისინი ცხოვრობენ.

აზერბაიჯანელი ბავშვები გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი განათლების ცენტრებიდან რამდენიმე თვეში ალაპარაკდნენ ქართულად, რამაც მისცა მათ საშუალება ქართულ სკოლაში გაეგრძელებინათ სწავლა.

ღრმად გვჯერა, რომ ჩვენი მოღვაწეობა საქართველოში პასუხობს მნიშვნელოვან სოციალურ მოთხოვნებს, და რომ ჩვენ ვთავაზობთ არსებული პირობების შესაბამის მოდელს. ახალ ცენტრებში ჩვენ ვხედავთ ბედნიერ, მომღიმარე ბავშვებს, და ვხვდებით მადლიერ მშობლებს, რომლებიც, ისევე როგორც ჩვენ, კარგად ხედავენ საკუთარი შვილების წარმატებებს.

მაჟენა რაფალსკა
სკოლამდელი განათლების
პროექტების კოორდინატორი
საზოგადოება “ედუკატორი”

"ედუკატორი" და "კივიტას გეორგიკა" – თანამშრომლობის ხუთი წელი სკოლამდელი განათლების განვითარებისთვის

ოლღა მუსხელიშვილი
სკოლამდელი განათლების პროექტების კონსულტანტი,
საერთაშორისო ასოციაცია "კივიტას გეორგიკა"

სკოლამდელი განათლების სფეროში ჩვენი მუშაობის ხუთი წელი შესრულდა და გვინდა, როგორც ეს საიუბილეო თარიღებისთვის არის მიღებული, შევაჯამოთ შედეგები. არა, ჩვენ ჯერ არ ვაპირებთ პენსიაზე გასვლას, და შედეგები არ არის საბოლოო. უბრალოდ, თარიღმა საბაბი მოგვცა გადავხედოთ განვლილ გზას, შევაფასოთ, ზოგჯერ წავიტრაბახოთ კიდეც - იუბილარებს ეპატიება - დავინახოთ ჩვენი მიღწევები და შეცდომები.

დავიწყოთ მთავარი კითხვით:

რას ნიშნავს სკოლამდელი განათლება?

2006 წლის განათლების რეფორმამ ცხადყო, რომ სახეზეა პრინციპული გაუგებრობა - რა განათლებაზეა საუბარი სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის? რა დროს მისი განათლებაა? აი, სკოლაში რომ წავა, იქ ყველაფერს ასწავლიან, ახლა კი, სანამ პატარაა, ითამაშოს თავისთვის! მთავარია, ვიზრუნოთ მის ჯანმრთელობაზე, შევუქმნათ უსაფრთხო გარემო და დროზე ვაჭამოთ.

როგორც ჩანს, 2006 წელს ასე ფიქრობდნენ არა მარტო მშობლები, არამედ გადაწყვეტილებების მიმღები პირებიც, და, შედეგად, საბავშვო ბაღები გამოიყვანეს განათლების სისტემიდან - განათლების სამინისტროს დაქვემდებარებიდან. ქვევით ჩვენ ვნახავთ, რა შედეგები მოიტანა ამ ცვლილებამ, ახლა კი გავცეთ პასუხი სათაურში დასმულ კითხვას.

ის მოსაზრება, რომ შვიდ წლამდე ბავშვისთვის სწავლა ჯერ ადრეა, პედაგოგიკაში გაბატონებული იყო XX საუკუნის შუა წლებამდე, მაგრამ მეცნიერების განვითარებამ ეს წარმოდგენა შეცვალა. აღმოჩნდა, რომ ბავშვის გონებრივი განვითარება, მისი პიროვნების ჩამოყალიბება იწყება სკოლის ასაკამდე გაცილებით ადრე, და თუნდაც ხუთი წლის ბავშვის განვითარებაზე ზრუნვის დაწყება უკვე დაგვიანებულია. მეტიც, ფსიქოლოგებისა და პედაგოგების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ გვიანია უკვე სამი წლის ბავშვისთვის.

5 წელი სკოლამდელი განათლების სფეროში

110	სკოლამდელი განათლების ახლადგახსნილი ცენტრი სოფლებში. აქედან: 70 - პოლონეთის დაფინანსებით 40 - UNICEF დაფინანსებით
300-ზე	მეტ მასწავლებელს აუმაღლდა კვალიფიკაცია;
100-ზე	მეტი მასწავლებელი დასაქმდა;
20-ზე	მეტმა მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა სკოლამდელი განათლების მუნიციპალური სტრატეგია;
3000-ზე	მეტმა ბავშვმა - ყველაზე მოკრძალებული შეფასებით - ისარგებლა ჩვენი ცენტრების მოემსახურებით
5	პუბლიკაცია, მათ შორის სკოლამდელი განათლების ცენტრის საავტორო პროგრამა და მეთოდური ბროშურები.

ადამიანი იბადება განვითარების უზომო პოტენციალით. ჩვენ ჯერაც ბოლომდე არ ვიცით, რა შესაძლებლობები იმალება თითოეულ ადამიანში. მეტიც, ბავშვს აქვს ამ თავისი მონაცემების განვითარებისა და სრულყოფის თანდაყოლილი ნიჭი და სურვილი, და თუ მას მიეცა ამის საშუალება, ბავშვი ვითარდება სწრაფად და აღწევს წარმოუდგენელ შედეგებს - ეს გვაჩვენეს მეოცე საუკუნის გამოჩენილმა პედაგოგებმა, საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც მარია მონტესორი და გლენ დამანი. მაგრამ, თუ ბავშვს ადრეულ ასაკში არ მიეცა საშუალება განავითაროს გარკვეული უნარები, მისი ტვინის ის არეები, რომლებიც პასუხისმგებელია ამ უნარების განვითარებაზე გამოუყენებელი რჩება, და თანდათან შეიძლება ატროფირდეს კიდეც - ბავშვი სამუდამოდ კარგავს ამ უნარების განვითარების შესაძლებლობას. მაგალითად, მეტყველების ათვისების უნარი, რომელიც, პირველი შეხედვით, აბსოლუტურად ბუნებრივად გააჩნია ყველა ჯანმრთელ ბავშვს, ატროფირდება, თუ ბავშვი დაბადებიდანვე არ იზრდება ადამიანებთან და არ ესმის სხვა ადამიანების საუბარი. რეალური „მაუგლები“ - ბავშვები, რომლებიც გაიზარდნენ ჯუნგლებში (მეცნიერებამ იცის ასეთი შემთხვევები), ვერ ითვისებენ ადამიანების ენას და, შესაბამისად, განზოგადებული აზროვნების უნარს.

როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ბავშვი ვითარდება, ანვითარებს საკუთარ უნარებს, ეს ნიშნავს, რომ ბავშვი იძენს გარკვეულ გამოცდილებას და სწავლობს ამ გამოცდილებიდან გამომდინარე და ამ გამოცდილების საფუძველზე, ვითარდება ფიზიკურად და გონებრივად. ბავშვი იძენს ცოდნასა და უნარებს, და სწორედ ეს არის განათლების პროცესი. ამ პროცესს სჭირდება ხელშეწყობა უფროსების მხრიდან - თუ ბავშვის განათლებას 6 წლამდე ყურადღება არ მიექცა, 6 წლის ასაკში - სკოლაში წასვლის დროისთვის - ის საერთო განვითარების დონით ჩამორჩება თანატოლებს, ხოლო სკოლაში ამ სიტუაციის გამოსწორება უკვე პრაქტიკულად შეუძლებელია. ფაქტიურად, ასეთი ბავშვი თავიდანვე განწირულია ვერ მიიღოს სრულყოფილი განათლება და, შესაბამისად, მცირდება მისი შანსები სხვა ცხოვრებისეულ წარმატებებზეც. მოკლედ რომ ვთქვათ, განათლება იწყება დაბადების დღიდან, და განათლება, მიღებული სკოლამდელ ასაკში, ადამიანისათვის არა ნაკლებ (თუ მეტად არა) მნიშვნელოვანია, ვიდრე საშუალო თუ უმაღლესი განათლება.

ყოველივე ზემოთქმული კარგად აისახება ეკონომიკურ კვლევებშიც. ეკონომისტი ჯეიმს ჰაკმანი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ამტკიცებს, რომ ინვესტირება 6 წლამდე ბავშვების განვითარებასა და განათლებაში იძლევა მინიმუმ ოთხმაგ მოგებას. ინვესტიციები საშუალო თუ პროფესიულ განათლებაში გაცილებით ნაკლებად მომგებიანია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ყოველი მშობლის მიზანი უნდა იყოს საკუთარი ბავშვებისათვის რაც შეიძლება უკეთესი სკოლამდელი განათლების უზრუნველყოფა, ხოლო სახელმწიფო დაინტერესებული უნდა იყოს დაეხმაროს მათ ამ მიზნის მიღწევაში. რეალობა ამ იდეალისგან შორს დგას. საშუალო-სტატისტიკურმა მშობელმა უბრალოდ არ იცის, რა მნიშვნელობა აქვს მისი ბავშვისთვის სკოლამდელ განათლებას და როგორი უნდა იყოს ეს განათლება. სახელმწიფოც, შედგება რა საშუალო-სტატისტიკური მშობელებისაგან, როგორც ჩანს, დღემდე ვერ აცნობიერებს სკოლამდელი განათლების მნიშვნელობას.

სკოლამდელი განათლება საქართველოში: 2006 წლიდან დღემდე

როგორც უკვე ვახსენეთ, 2006 წელს საქართველოში ჩატარდა განათლების რეფორმა, რომლის შედეგად სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები (საბავშვო ბაღები) გამოყვანილ იქნა განათლების სისტემიდან და გადავიდა ადგილობრივი თვითმმართველობის დაქვემდებარებაში. ამ მოქმედებით სკოლამდელი განათლების რეფორმა დასრულდა ისე, რომ რეალურად არც დაწყებულა - არ ყოფილა შემუშავებული სკოლამდელი განათლების მიზნები, სტანდარტები თუ პროგრამა. დღემდე არ არსებობს სკოლამდელი განათლების ეროვნული კონცეფცია. ადგილობრივმა თვითმმართველობებმა ჩაიბარეს მორალურად და ფიზიკურად მოძველებული მოუქნელი საბჭოური სისტემა, რომლის მოვლა-პატრონობა ხშირად სცდებოდა ადგილობრივი ბიუჯეტების შესაძლებლობებს. გარდა ამისა, თვითმმართველობის ორგანოებს არ ჰქონდათ სკოლამდელი განათლების მართვის არანაირი გამოცდილება, არც ხედვა და არც შესაბამისი სპეციალისტები ჰყავდათ. და, რადგანაც საბავშვო ბაღი არ განიხილებოდა როგორც საგანმანათლებლო დაწესებულება, ადგილობრივი ადმინისტრაცია ვერც მის აუცილებლობას ხედავდა. შედეგად, რეგიონებში, იქაც კი, სადაც 2006 წლამდე საბავშვო ბაღები ფუნქციონირებდა, მასიურად დაიწყო მათი ლიკვიდაცია.

კითხვა - რისთვის არის საჭირო საბავშვო ბაღი? - საერთოდ არ დასმულა, ისედაც ყველამ იცოდა, რომ მშობელს ბავშვი მიჰყავს საბავშვო ბაღში იმისთვის, რომ გამოითავისუფლოს დრო - სამსახურში წასასვლელად თუ სხვა მიზნით. გარდა ამისა, ბაღში ბავშვს უფასოდ აჭმევდნენ (მაშინ ბაღები ჯერ კიდევ უფასო იყო). შესაბამისად, გაბატონებული იყო აზრი, რომ საბავშვო ბაღი, არის რა სოციალური მომსახურება მშობლებისთვის, ზოგადად, კარგია და საჭირო, მაგრამ ამ მოსამსახურების შესაბამისი რესურსები არ არსებობს.

2008 წლიდან სკოლამდელი განათლების სფეროში დაიწყო ცვლილებები უკეთესობისაკენ. შენობების გაყიდვა შეწყდა, გაიზარდა სფეროს დაფინანსება (თუმცა დაწესდა მშობლების გადასახადიც). და, რაც მთავარია, შეიცვალა საბავშვო ბაღისადმი მიდგომა - ყოველ შემთხვევაში, განათლების სამინისტროს დონეზე ცნობილ იქნა ბაღის საგანმანათლებლო ფუნქციაც. განათლების მინისტრის 2008 წლის 11 ნოემბრის N958 ბრძანებულებით დამტკიცდა სკოლამდელი განათლების ეროვნული მიზნები.

დღეისთვის (2012 წ.) უკვე არსებობს სკოლამდელი განათლების ეროვნული მიზნები და სტანდარტები, რომლებიც შემუშავებულ იქნა გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) დაფინანსებით განათლების სამინისტროსთან არსებული „ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის“ მიერ. გარდა ამისა, უკვე არსებობს ამ მიზნებისა და სტანდარტების შებამისი სკოლამდელი განათლების რამდენიმე პროგრამა - მათ შორის, ერთ-ერთი შემუშავებულია ჩვენს მიერ, პოლონელი კოლეგების დახმარებითა და დაფინანსებით. „ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა“ UNICEF-ის დაფინანსებით შეიმუშავა და გამოსცა სკოლამდელი დაწესებულების დასახმარებლად დოკუმენტების დიდი პაკეტი - პროგრამა, ბავშვის შეფასების ფორმა, მასწავლებლის დამხმარე სახელმძღვანელო. ყველაფერი ეს აუცილებელია და მნიშვნელოვანი სკოლამდელი განათლების ხარისხის ასამაღლებლად, მაგრამ, საქართველოს კანონმდებლობის პარადოქსულობა იმაში მდგომარეობს, რომ განათლების სამინისტროს მასალები და დადგენილებები მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს, რადგანაც სკოლამდელი განათლება არის ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლება.

სკოლამდელი განათლება - მისი ხელმისაწვდომობა, ფორმა, პროგრამა თუ ხარისხი - თითოეულ მუნიციპალიტეტში განისაზღვრება ამ მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით და იმართება ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების მიერ.

ამიტომ მნიშვნელოვანია, ყოველ მუნიციპალიტეტს ჰქონდეს სკოლამდელი განათლების სფეროს განვითარების ხედვა და სტრატეგია, რომლის განხორციელება ამ მუნიციპალიტეტების ყოველ ბავშვს მისცემს საშუალებას მიიღოს ხარისხიანი სკოლამდელი განათლება.

სკოლამდელი განათლების ფინანსური პრობლემები

სკოლამდელ განათლებასთან დაკავშირებული პრობლემები მრავალფეროვანია და მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში მსგავსი. საშუალოდ, საქართველოს მასშტაბით, სკოლამდელ განათლებაზე იხარჯება ადგილობრივი ბიუჯეტის მხოლოდ 5,5%, თუმცა პირველი, რასაც უპასუხებს უკლებლივ ყველა მუნიციპალიტეტი კითხვაზე, თუ რა უშლის ხელს სკოლამდელი განათლების სფეროს განვითარებას, იქნება სახსრების ნაკლებობა. საინტერესოა, რომ ამავე დროს თითქმის არცერთმა მუნიციპალიტეტმა არ იცის ზუსტად, თუ რამდენი სკოლამდელი ასაკის ბავშვი ცხოვრობს მის ტერიტორიაზე, და არც ის არის დათვლილი, თუ რა ჯდება ხარისხიანი სკოლამდელი განათლება ერთი ბავშვისთვის. ანუ, მუნიციპალიტეტებმა რეალურად არ იციან, რა თანხა სჭირდება სკოლამდელი განათლების სფეროს.

სკოლამდელ განათლებაზე ამჟამად გამოყოფილი თანხების ნახევარზე მეტი იხარჯება ხელფასებზე. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან სკოლამდელი განათლების ერთადერთ ფორმად თითქმის ყველგან რჩება ე.წ. „სტანდარტული“ საბავშვო ბაღი, სადაც ბავშვები ატარებენ მთელ სამუშაო დღეს. ასეთი ბაღის საშტატო განრიგი, აღმზრდელებისა და ძიძების გარდა, ითვალისწინებს მინიმუმ 11 საშტატო ერთეულს. გარდა ამისა, „სტანდარტულ“ ბაღს სჭირდება საკმაოდ დიდი ფართი, სადაც იქნება დაცული ყველა სანიტარული ნორმა ბავშვების კვებით უზრუნველსაყოფად. ასეთი ბაღის აშენება და/ან შენახვა დიდ ხარჯებს მოითხოვს, ხოლო მცირედასახლებულ სოფლებში საერთოდ არარაციონალურია.

ამავე დროს, სკოლამდელი ასაკის ბავშვების განათლების პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას სწორედ ღარიბ და მცირედასახლებულ რეგიონებში, სადაც მშობლებს ნაკლები ინფორმაცია და ნაკლები შესაძლებლობა აქვთ ბავშვების ყოველმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად.

ბუნებრივად იბადება სკოლამდელი განათლების სხვა (ალტერნატიული) ფორმით მიწოდების აუცილებლობა, ანუ ჩნდება ალტერნატიული საბავშვო ბაღის იდეა.

რა არის ალტერნატიული საბავშვო ბაღი?

ალტერნატიული საბავშვო ბაღი (სკოლამდელი განათლების ცენტრი) ორიენტირებულია ბავშვის განათლებაზე და არ უზრუნველყოფს სხვა სოციალურ მომსახურებას.

სკოლამდელი განათლების ცენტრში ბავშვები ატარებენ დღეში 4-5 საათს. ეს ხსნის ბავშვების კვების პრობლემას. აღარ არის საჭირო სპეციალური ინფრასტრუქტურა და დამატებითი შტატები. ერთი ჯგუფის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის საკმარისია ერთი ოთახი - ეს შეიძლება იყოს ოთახი სკოლის, ბიბლიოთეკის, ან ნებისმიერ სხვა საჯარო შენობაში - და ერთი მასწავლებელი. ჯგუფში ერთად მეცადინეობენ ბავშვები 3-დან 6 წლამდე, ანუ პატარა სოფლისთვის, სადაც სკოლამდელი ასაკის ბავშვთა რაოდენობა დიდი არ არის, ხშირად ერთი ჯგუფიც საკმარისია.

რაც მთავარია, ის დრო, რომელსაც ბავშვები ატარებენ სკოლამდელი განათლების ცენტრში (16-20 საათი კვირაში) სავსებით საკმარისია პროგრამის სრულყოფილი ათვისებისთვის, თუ მასწავლებელი მუშაობს შესაბამისი მეთოდიკით. განვითარების დონით ალტერნატიული ბაღის ბავშვები არ ჩამოუვარდებიან (ზოგჯერ კი უსწრებენ) იმ ბავშვებს, რომლებიც ყოველდღიურად მთელ დღეს ატარებენ სტანდარტულ ბაღში. მოკლე დღეს აქვს ის უპირატესობაც, რომ ბავშვი არ არის სრულიად მოწყვეტილი ოჯახიდან, როგორც ეს ხდება სტანდარტული ბაღის შემთხვევაში, მას რჩება საკმარისი დრო ოჯახის წევრებთან ურთიერთობისთვის.

სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის მთავარი ადამიანები მშობლებია. ალტერნატიული ბაღის კონცეფციაში თავიდანვე ჩადებულია მასწავლებლისა და მშობლების მჭიდრო თანამშრომლობა, რაც ხშირად უგულებელყოფილია სტანდარტულ

ბაღში და რის გარეშეც კარგი შედეგის მიღწევა შეუძლებელია. ალტერნატიულ ბაღში, როგორც წესი, მასწავლებლის დამხმარე პერსონალის მოვალეობას მორიგეობით ასრულებენ მშობლები. ეს მათ საშუალებას აძლევს ჩართულნი იყვნენ ჯგუფის საქმიანობაში, უკეთესად დაინახონ საკუთარი შვილების მიღწევები თუ პრობლემები, და გაიზიარონ მათი ინტერესები. მშობლები ბავშვებთან ერთად მონაწილეობენ ჯგუფის ყველა ღონისძიებაში, ოთახის გარემონტება - მოწყობაში, ეზოში სათამაშო და სპორტული კუთხეების ორგანიზებაში. მშობლებისთვის ეს არის თავისებური სკოლა, სადაც ისინი ახლებურად სწავლობენ ბავშვებთან ურთიერთობას, ითვისებენ პედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ მეთოდებსა და მიდგომებს.

გარდა ამისა, ბაღის ასეთი მჭიდრო თანამშრომლობა მშობლებთან ეხმარება ბავშვებს (და დედებსაც) სწრაფად დაძლიონ ბავშვის ფსიქოლოგიური სტრესი, რომელსაც იწვევს ოჯახთან პირველად დაშორება და განსხვავებულ სოციალურ გარემოსთან შეგუების აუცილებლობა.

როგორც უკვე ვახსენეთ, ალტერნატიულ ბაღში არ ხდება ბავშვების დაყოფა ასაკის მიხედვით, სამიდან ექვს წლამდე ბავშვები სწავლობენ ერთ ჯგუფში. ასეთი მიდგომა უკეთეს შედეგებს იძლევა როგორც ბავშვის ინტელექტუალური განვითარების მხრივ, ასევე მისი სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებისათვის. მართალია, პედაგოგისთვის ასაკობრივად შერეულ ჯგუფთან მუშაობა უფრო ძნელია, ვიდრე ერთი ასაკის ბავშვებთან, სამაგიეროდ აიძულებს მას გამოიჩინოს კრეატიულობა და არ აძლევს მყარი დოგმატური მიდგომის საშუალებას.

რატომ ალტერნატიული ბაღი?

განათლების უფლება ყოველი მოქალაქის კონსტიტუციური უფლებაა, განათლება კი, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, სკოლამდელი ასაკიდან იწყება. სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა უზრუნველყოს ბავშვის საგანმანათლებლო მოთხოვნილებები, ხოლო მშობლებისთვის თავისუფალი დროის უზრუნველყოფა ამასთან შედარებით მეორე რიგის აუცილებლობაა. პირველ ამოცანას - ბავშვების სკოლამდელი განათლების მიწოდებას - ალტერნატიული ბაღი (სკოლამდელი განათლების ცენტრი) ასრულებს არანაკლებ დონეზე, ვიდრე სტანდარტული საბავშვო ბაღი, ამავე დროს ასეთი ცენტრის შენახვა იმდენად უმნიშვნელო თანხებს მოითხოვს, რომ ამას შეძლებს ნებისმიერი თვითმმართველობა, ყველაზე მცირეშემოსავლიანიც კი.

როგორც უკვე ვახსენეთ, სტანდარტული ბაღის შენახვის საშუალება არ არის ღარიბ რეგიონებში, მაღალმთიან და მცირედასახლებულ სოფლებში. ამავე დროს, სწორედ ასეთ რეგიონებში განსაკუთრებით მწვავედ დგას სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის საკითხი, ვინაიდან იქ მშობლებს, როგორც წესი, არა აქვთ არც საშუალება და არც საკმარისი ცოდნა იმისთვის, რომ დააკმაყოფილონ ბავშვის საგანმანათლებლო მოთხოვნილებები. ასეთ შემთხვევაში სკოლამდელი განათლების ცენტრი არის კარგი გამოსავალი - როგორც მოსახლეობისათვის, ასევე თვითმმართველობისთვის.

და კიდევ ერთხელ შევჩერდეთ საკითხზე - რას უნდა ემსახურებოდეს საბავშვო ბაღი?

ცალსახად მიგვაჩნია, რომ:

- საბავშვო ბაღი პირველ რიგში უნდა იყოს საგანმანათლებლო დაწესებულება, და განიხილებოდეს საშუალო განათლების პირველ საფეხურად;
- საბავშვო ბაღი უნდა იძლეოდეს მაღალი ხარისხის სკოლამდელ განათლებას;
- საბავშვო ბაღი ხელმისაწვდომი უნდა იყოს საქართველოში მცხოვრები 3-დან 6 წლამდე ასაკის ყველა ბავშვისთვის;
- საბავშვო ბაღს შეუძლია აგრეთვე შეითავსოს სხვა სოციალური ფუნქციები, თუ არის ამის მოთხოვნილება და საშუალება.

ამ პრინციპებზე დაყრდნობით ყოველ მუნიციპალიტეტს შეუძლია აირჩიოს სკოლამდელი განათლების სტრატეგია საკუთარი შესაძლებლობებიდან გამო-

მდინარე. თუ მას აქვს საშუალება ყველა დასახლებულ პუნქტში ჰქონდეს სტანდარტული ბაღი, მაშინ ალტერნატიული ბაღების აუცილებლობა შიძლება არც გაჩნდეს. მაგრამ, თუ რომელიმე დასახლებულ პუნქტში სტანდარტული ბაღის აშენების ან შენახვის საშუალება არ არის, ეს არ ნიშნავს, რომ ბავშვის უფლება განათლებაზე უნდა იყოს უგულებელყოფილი. ამ შემთხვევაში სკოლამდელი განათლების ცენტრის შექმნა არის პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო გზა.

და კიდევ ერთი - სკოლამდელი განათლება უნდა იყოს უფასო - როგორც საშუალო განათლების პირველი საფეხური. ანუ, თუ მშობელი იხდის საბავშვო ბაღის საფასურს, ეს შეიძლება იყოს მხოლოდ კვების, ან რაიმე დამატებითი სერვისების საფასური. აქედან გამომდინარე, სკოლამდელი განათლების ცენტრი უფასოა.

დღევანდელი მდგომარეობით სტანდარტულ ბაღებში მშობლები, როგორც წესი, იხდიან გარკვეულ თანხას. ალტერნატიული ჯგუფების შექმნა სტანდარტულ ბაღებში შეიძლება გახდეს გამოსავალი იმ მშობლებისთვის, რომლებსაც უჭირთ ან არ სურთ ამ თანხის გადახდა.

ალტერნატიული ფორმების გამოყენება მეტ მოქნილობას შესძენს სკოლამდელი განათლების სფეროს, მისცემს მშობლებს არჩევანის შესაძლებლობას ხოლო მასწავლებლებს - კრეატიული მიდგომის სტიმულს. სტანდარტულ საბავშვო ბაღებში ალტერნატიული ჯგუფების არსებობამ შეიძლება საგრძნობლად გააუმჯობესოს ბაღის მუშაობის ხარისხი.

ზოგადად, სკოლამდელი განათლების ალტერნატიული ფორმების დამკვიდრება ხელს უწყობს გამყარებული სტერეოტიპებისა და ნორმების მსხვრევას, იძლევა სტიმულს ახალი გზებისა და სტანდარტების ძიებისთვის, აიძულებს როგორც თვითმმართველობებს, ასევე მშობლებსა და პედაგოგებს გასცენ პასუხი მთავარ კითხვებს - რაში მდგომარეობს სკოლამდელი განათლების არსი და რა არის მისი მიზანი.

სკოლამდელი განათლების მუნიციპალური სტრატეგიები

2007 წელს ჩვენ - საერთაშორისო ასოციაციამ „კივიტას გეორგიკა“ - გადავწყვიტეთ გამოგვეყენებინა პოლონელი კოლეგების გამოცდილება, და დაგვეწყო სკოლამდელი განათლების ალტერნატიული ფორმების დანერგვა საქართველოში.

პოლონელი პარტნიორების - არასამთავრობო ორგანიზაცია „ედუკატორის“ დახმარებით, და პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ფონდი RITA-ს დაფინანსებით განვახორციელეთ 10 პროექტი სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

თვითმმართველობასთან მჭიდრო თანამშრომლობა არის ჩვენი საქმიანობის მთავარი პირობა - სხვანაირად პროექტი უბრალოდ ვერ განხორციელდება. მუნიციპალიტეტი გამოყოფს სკოლამდელი განათლების ცენტრისთვის ოთახს რომელიმე საჯარო შენობაში, და მუნიციპალიტეტს აჰყავს ცენტრი საკუთარ ბალანსზე, როდესაც პროექტის დრო იწურება.

პროექტი ითვალისწინებს ცენტრის მუშაობის დაწყების დაფინანსებას - ოთახის გარემონტებისთვის საჭირო მასალებს, ინვენტარს (ავეჯი, სათამაშოები, წიგნები, განმავითარებელი მასალები და თვალსაჩინოებები), მასწავლებლის ტრენინგსა და ხელფასს მუშაობის პირველი 6 თვის განმავლობაში. ამით პირველი ეტაპი დასრულებულია, და გააგრძელებს თუ არა ცენტრი მუშაობას, დამოკიდებულია თვითმმართველობაზე.

როგორც წესი, ცენტრი მუშაობას აგრძელებს - პროექტი არის თვალსაჩინო დემონსტრაცია არსებული პრობლემის შედარებით იაფი და ეფექტიანი გადაწყვეტისა, შედეგები ცენტრის 6 თვის მუშაობის შემდეგ სახეზეა, და მოსახლეობა უკვე აღარ თმობს მომუშავე ცენტრს იმ იშვიათ შემთხვევებშიც კი, როდესაც ადმინისტრაცია ამ ცენტრის დახურვას გეგმავს.

2009 წელს გადაღებულ იქნა მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი ჩვენი მუშაობის შესახებ. ავტორი - ნიკა წიკლაური.

ფილმი გადაღებულია სკოლამდელი განათლების ალტერნატიული ფორმების პოპულარიზაციისათვის.

ფილმის ნახვა შესაძლებლია მისამართზე:

http://youtube.com/user/CivitasGeorgica

პირველ პროექტებში დიდი ძალისხმევა იყო საჭირო, რათა დაგვერწმუნებინა თვითმმართველობა - ვატარებდით სპეციალურ ტრენინგებისა და სემინარებს, სასწავლო ვიზიტებს პოლონეთში და შეხვედრებს პოლონელ კოლეგებთან. შედეგები სახეზეა - ბოლო წლებში სკოლამდელი განათლების ალტერნატიულმა ფორმამ ნელ-ნელა დაიწყო დამკვიდრება საქართველოში, მუნიციპალიტეტები უკვე თვითონ გამოხატავენ თანამშრომლობის სურვილს, და, როგორც წესი, უპრობლემოდ აფინანსებენ ჩვენს მიერ დაფუძნებული ცენტრების მუშაობის გაგრძელებას.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ყოველ მუნიციპალიტეტს გააჩნდეს სკოლამდელი განათლების სფეროს განვითარების ხედვა და სტრატეგია. ამიტომაც პროექტების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს სკოლამდელი განათლების ადგილობრივი სტრატეგიების შემუშავება. უკვე ოცზე მეტმა მუნიციპალიტეტმა ჩვენი დახმარებით შეიმუშავა სკოლამდელი განათლების ადგილობრივი სტრატეგია, და ყველა ეს სტრატეგია ითვალისწინებს სკოლამდელი განათლების ალტერნატიულ ფორმებსაც. მართალია, ჯერ-ჯერობით მუნიციპალიტეტები ძალზე იშვიათად იყენებენ ამ ფორმებს საკუთარი ინიციატივით (ჩვენი წამოწყების გარეშე).

პედაგოგი

პედაგოგი ცენტრალური ფიგურაა ნებისმიერ სკოლამდელ დაწესებულებაში - იქნება ეს სტანდარტული თუ ალტერნატიული ბაღი. ყველა კვლევის მიხედვით, სკოლამდელი განათლების ხარისხზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს სწორედ მასწავლებელი, მისი პიროვნება და კვალიფიკაცია. ამიტომ განსაკუთრებით საწყენია, რომ არსებული კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოს სკოლამდელ დაწესებულებებში მომუშავე მასწავლებლებს „აღმზრდელები“ ეწოდება, მასწავლებლების სტატუსი არ აქვთ, და არც უმაღლესი/პროფესიული განათლების ქონა ევალებათ.

ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებას, და ვთვლით, რომ ჩვენი სამუშაოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია მასწავლებლების ტრენინგები. სკოლამდელ განათლებაში ძალიან ბევრი არის დამოკიდებული მასწავლებლის პიროვნებაზე, მის განათლებასა და კრეატიულობაზე. სასურველია, რომ ბაღში მომუშავე მასწავლებელს ჰქონდეს უმაღლესი პედაგოგიური განათლება, მაგრამ ეს ყოველთვის არ არის შესაძლებელი (განსაკუთრებით მცირედასახლებულ სოფლებში). და ყველა შემთხვევაში, სკოლამდელი განათლების ცენტრის მეთოდიკა

ძალიან განსხვავდება იმისგან, რაც ნასწავლი აქვთ თუნდაც პროფესიონალ მასწავლებლებს. ამიტომ ტრენინგი მასწავლებლებისათვის არის ყოველი ჩვენი პროექტის განუყოფელი ნაწილი. ტრენინგებს ატარებენ როგორც პოლონელი, ასევე ქართველი ტრენერები, ფსიქოლოგები და ლოგოპედები. როგორც წესი, სკოლამდელი ცენტრების მასწავლებლებთან ერთად, ამ ტრენინგებზე ვიწვევთ მუნიციპალური საბავშვო ბაღების მასწავლებლებს, და, მათივე შეფასებას თუ ვენდობით, მათთვისაც ეს ტრენინგები ძალიან სასარგებლა.

ამ წლების მანძილზე ჩვენი ტრენინგები გაიარა 300-ზე მეტმა მასწავლებელმა. ეს გვაძლევს უფლებას გავაკეთოთ ზოგადი დასკვნა - სკოლამდელი დაწესებულებების მასწავლებლები ძალიან მოტივირებულები არიან აიმაღლონ კვალიფიკაცია, გაეცნონ სიახლეებს. მათ მიერ შევსებულ ტრენინგების შეფასების ანკეტებში ვკითხულობთ, რომ კიდევ და კიდევ ისურვებდნენ ამგვარ ტრენინგებში მონაწილეობას.

პროგრამა

სკოლამდელი განათლების ცენტრის მასწავლებელი ჩაყენებულია უფრო რთულ პირობებში, ვიდრე მასწავლებელი სტანდარტულ ბაღში. მას აქვს გაცილებით ნაკლები დრო ბავშებთან სამუშაოდ, გარდა ამისა, როგორც წესი, ჰყავს ასაკობრივად შერეული ჯგუფი. ასეთ პირობებში სასურველი შედეგის მისაღწევად მასწავლებელი უნდა ფლობდეს შესაბამის მეთოდიკას, უნდა ჰქონდეს კარგი პროგრამა (კურიკულუმი), რომელიც სწორადაა გაწერილი დროში (გეგმა), და თანამშრომლობდეს მშობლებთან. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ბავშვებისადმი ინდივიდუალური მიდგომა, რის შესაძლებლობას იძლევა მხოლოდ შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფები.

როგორც უკვე ითქვა, იმ დროს, როდესაც ჩვენ ვიწყებდით (2007 წ.), საქართველოში არ არსებობდა პროგრამები ან სხვა დამხმარე სახელმძღვანელოები სკოლამდელი დაწესებულებების მასწავლებლებისათვის. ამიტომ 2009 წელს, პოლონელი კოლეგების დახმარებით, შევიმუშავეთ და გამოვეცით საავტორო პროგრამა სკოლამდელი განათლების ცენტრისთვის. ჩვენმა პროგრამამ მიიღო კარგი რეცენზიები როგორც პოლონეთის სპეციალისტებისაგან, აგრეთვე საქართველოს განათლების სამინისტროში. ამ პროგრამით მუშაობენ ჩვენი ცენტრები, მას აგრეთვე იყენებენ სტანდარტული საბავშვო ბაღების მასწავლებლებიც.

თამაშის პედაგოგიკა

განათლება ყოველთვის ასოცირდება მერხთან ჯდომასთან, შრომასთან და დაღლასთან. „სწავლის ძირი მწარე არის“ - ნათქვამია. ალბათ ამიტომ ხშირად გვესმის, რომ პატარა ბავშვებს არ უნდა დავუკარგოთ ბავშვობა, განათლება უნდა მივაწოდოთ მინიმალური დოზებით, რათა ბავშვები არ გადავღალოთ და ა.შ.

მაგრამ ჩვენ აზრადაც არ მოგვსვლია დავსვათ მერხთან სკოლამდელი ასაკის ბავშვი და ლექციები ვუკითხოთ! ჩვენ ვიყენებთ ***თამაშის პედაგოგიკას.***

თამაში არის ბავშვის ბუნებრივი ქცევა, ხოლო სკოლამდელი განათლება, არის რა განათლება თავისი არსით, ფორმით თამაშია. პატარა ბავშვი ყველაზე კარგად სწავლობს და ვითარდება თამაშით და თამაშის დროს. თამაშით ბავშვი ხდება ჯგუფის წევრი, სწავლობს სხვებისა და საკუთარი მოქმედებებისა და ქცევის შეფასებას. თამაში ასწავლის ბავშვს ურთიერთობებს, ყურადღებას, საკუთარი აზრების სწორად გამოხატვასა და დიალოგის წარმართვას, ანვითარებს მეტყველებას. თამაში ბავშვს ასწავლის გარკვეული შეთანხმების შედეგად დადგენილი პირობითი ნორმებისადმი დამორჩილება-დაქვემდებარებას. და ბოლოს - ნებისმიერ ინფორმაციას ბავშვი ყველაზე კარგად ითვისებს სწორედ თამაშით. ამიტომაც სწავლების მთავარ ფორმებად სკოლამდელი განათლების ცენტრებში მიღებულია თამაში და ექსპერიმენტი (რომელიც, ცხადია, სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის ისევ თამაშია).

თამაშით მიღებული ცოდნა ყველაზე მდგრადია - ცნობილია, რომ ყველაზე უკეთ გვამახსოვრდება ის ინფორმაცია, რომელიც დადებით ემოციებთან ასოცირდება.

და მთავარი - თამაშით სწავლა ბავშვისთვის ბუნებრივია, სახალისო და მას არ ღლის! პირიქით, რით მეტს სწავლობს ბავშვი, მით მეტს მოითხოვს, და ჩვენი ამოცანაა შევუწყოთ მას ხელი ამ მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში, შევუქმნათ საინტერესო გარემო და მივაწოდოთ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია. თუ ბავშვის დღის წესრიგი დაბალანსებულია, მოძრავი და წყნარი აქტივობები ერთმანეთს ენაცვლება, და ბავშვს ეძლევა დრო დასვენებისა და რელაქსაციისათვის, საუბარი ბავშვის განათლებით გადაღლაზე არ არის სერიოზული.

სკოლამდელი განათლების ხარისხი

როგორც უკვე ითქვა, 2009 წლიდან დავიწყეთ თვითმმართველობებთან ერთად სოკლამდელი განათლების სტრატეგიაზე მუშაობა. იმ დროს ეს განსაკუთრებით რთული იყო, ვინაიდან ჯერ არ არსებობდა სკოლამდელი განათლების ეროვნული მიზნები და სტანდარტები. ჩვენც მთავარ აქცენტს ვაკეთებდით სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობაზე, ამისთვის კი ერთ-ერთ გზად გვესახებოდა ალტერნატიული ფორმების ოფიციალურად აღიარება და სტრატეგიის დოკუმენტში მათი შეტანა. ზემოთ ვახსენე, რომ ეს არ იყო მარტივი ამოცანა, მაგრამ თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში დასახულ მიზანს მივაღწიეთ. რა თქმა უნდა, მაშინაც მწვავედ იდგა სკოლამდელი განათლების ხარისხის საკითხი, მაგრამ პირველ პლანზე ამ საკითხის გამოტანა შევძელით მხოლოდ 2011 წლიდან.

საბავშვო ბაღი უნდა იძლეოდეს მაღალი ხარისხის განათლებას, სხვა შემთხვევაში ის კარგავს თავის მთავარ ფუნქციას. ამიტომ სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გარდა საჭიროა მუშაობა მისი ხარისხის ამაღლებაზე.

რას ნიშნავს მაღალი ხარისხის სკოლამდელი განათლება? საქართველოში ჯერ-ჯერობით არ არსებობს

საბავშვო ბაღი - ფასიანი თუ უფასო?

დღეს საბავშვო ბაღის საფასურის პრობლემა ძალზე აქტუალურია, და მიდის სერიოზული კამათი ამ თემაზე სხვადასხვა მიმართულების პოლიტიკურ ძალებს შორის. მაგრამ დასაბუთებული არგუმენტები - რატომ უნდა იყოს საბავშვო ბაღი უფასო ან რატომ არ უნდა იყოს, არცერთი მხრიდან არ გაჟღერებულა. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ საფასურის ოდენობა (ფასიანი ბაღისთვის) არ არის დათვლილი, ყველა ბაღისთვის განსხვავებულია და განისაზღვრება ერთიანი კრიტერიუმების არარსებობის პირობებში.

ყველამ ვიცით, რომ უფასო ზოგადი განათლება საქართველოში ყოველი ბავშვის კონსტიტუციური უფლებაა. ე.ი., სკოლამდელი განათლება, როგორც ზოგადი განათლების საწყისი საფეხური, აგრეთვე უნდა იყოს უფასო. მაგრამ უფასო სკოლამდელი განათლება არ ნიშნავს უფასო საბავშვო ბაღებს. სტანდარტული საბავშვო ბაღი, გარდა იმისა, რომ არის (უნდა იყოს) საგანმანათლებლო დაწესებულება, აგრეთვე ახორციელებს სხვა სოციალურ მომსახურებასაც. მაგალითად, იქ ბავშვებს უვლიან მთელი დღის განმავლობაში, აჭმევენ, აძინებენ და ა.შ. იქნება თუ არა ეს მომსახურებაც უფასო, დამოკიდებულია უამრავ ფაქტორზე. მაგრამ ყოველგვარი მიზეზის გარეშე სკოლამდელი განათლება ყველა ბავშვისთვის უნდა იყოს უფასო და ხელმისაწვდომი.

როგორ მივაღწიოთ ამ მიზანს? ალტერნატიულ საბავშვო ბაღებში - სკოლამდელი განათლების ცენტრებში - ეს მარტივია. ასეთი ცენტრი არ უზრუნველყოფს დამატებით მომსახურებას, და ამიტომ უნდა იყოს უფასო. მაგრამ როგორ ვუზრუნველყოთ უფასო სკოლამდელი განათლება იქ, სადაც ფუნქციონირებს სტანდარტული ბაღები?

პოლონეთში ეს პრობლემა გადაწყვეტილია შემდეგნაირად:

საბავშვო ბაღი მიიჩნევა საგანმანათლებლო დაწესებულებად, და ითვლება, რომ ძირითადი საბაზისო პროგრამის დაძლევისათვის საკმარისია დღეში 5 საათი. ეს 5 საათი დღეში უფასოა ყველა ბავშვისთვის. ყოველი შემდეგი საათისთვის მშობელი იხდის გარკვეულ თანხას, ისევე როგორც ყოველი ჭამისთვის. მშობელი თვითონ წყვეტს, რა დროს გაატარებს მისი ბავშვი საბავშვო ბაღში, და რამდენჯერ შეჭამს. შესაბამისად დაითვლება ყოველთვიური გადასახადი. ამგვარად, ყოველ ბავშვს ეძლევა საშუალება უფასოდ მიიღოს სკოლამდელი განათლება, ხოლო მშობლებს ეძლევათ არჩევანი - როგორ განკარგონ საკუთარი სახსრები და დრო.

სკოლამდელი განათლების ხარისხის შეფასების კრიტერიუმები და მექანიზმები. ასეთი კრიტერიუმები არ არსებობს აგრეთვე ერთი ცალკე აღებული საბავშვო ბაღის შესაფასებლად.

როგორი საბავშვო ბაღია კარგი? როგორ შევაფასოთ? რა არის მთავარი - ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა, კვების ხარისხი, პროგრამა, მასწავლებელი?

უფრო ზოგადად - როგორ შევაფასოთ სკოლამდელი განათლების სფეროს განვითარების დონე მუნიციპალიტეტის მასშტაბით? საკმარისია თუ არა ამ სფეროსთვის გამოყოფილი თანხები? არის თუ არა შესაბამისობაში ჩადებული სახსრები და მიღებული შედეგები?

სკოლამდელი განათლების სტრატეგიის შემუშავება მოითხოვს ამ კითხვებზე პასუხის გაცემას - ნაწილობრივ მაინც. თვითმმართველობამ უნდა შეძლოს შეიმუშავოს საკუთარი სტანდარტები, და განსაზღვროს ის ინდიკატორები, რომლებიც მისცემს მას საშუალებას შეაფასოს, თუ რამდენად მოახერხა დასახული სტანდარტების შესრულება. ამ რთულ ამოცანას ნაწილობრივ ამარტივებს ის, რომ უკვე არსებობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მიღებული სკოლამდელი განათლების ეროვნული მიზნები და სტანდარტები.

შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ ამჟამად საქართველოში სკოლამდელი განათლების ხარისხის დონე დაბალია. დედაქალაქშიც კი, სადაც საბავშვო ბაღების არჩევანი დიდია, მათ შიროს არის ბევრი კერძო საბავშვო ბაღიც, ის მშობლები, რომლებისთვისაც მთავარია ბავშვის განვითარება, ვერ პოულობენ თავისთვის მისაღებ პირობებს.

სკოლამდელი განათლების მაღალი ხარისხი არის როგორც ჩვენი მიმდინარე, ასევე სამომავლო პროექტების მთავარი მიმართულება. ამაზე კეთდება აქცენტი როგორც მასწავლებლების, ასევე თვითმმართველობების ტრენინგებზე. მიმდინარეობს ხარისხის კრიტერიუმების შემუშავება და შედეგების შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა, რაც აუცილებლად აისახება სკოლამდელი განათლების განვითარების ახალ ადგილობრივ სტრატეგიებში.

რა უნდა ახსოვდეს ადგილობრივ თვითმმართველობას

- უფასო ზოგადი განათლება არის ყოველი ბავშვის კონსტიტუციური უფლება;
- სკოლამდელი განათლება არის ზოგადი განათლების პირველი საფეხური;
- სკოლამდელი განათლება ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებაა;
- კარგი სკოლამდელი განათლება აძლევს პატარა მოქალაქეს შანსს წარმატებული იყოს განათლების შემდგომ საფეხურებზე, და, შედგად, მიაღწიოს წარმატებას თავის სამომავლო საქმიანობაში;
- ყოველ მუნიციპალიტეტს - ყველაზე ღარიბსაც კი - აქვს საშუალება უზრუნველყოს სკოლამდელი განათლება 3-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის. თუ მას არ შეუძლია შეინახოს სტანდარტული საბავშვო ბაღი, ყოველთვის შეძლებს გახსნას და შეინახოს სკოლამდელი განათლების ცენტრი;
- სკოლამდელი განათლების ცენტრის ფუნქციონირებისათვის საკმარისია გამოიყოს ერთი ოთახი და ერთი მასწავლებლის ხელფასი;
- სკოლამდელი განათლების ცენტრი ფუნქციონირებს და იმართება მშობელთა თანამონაწილეობით;
- ყოველი სკოლამდელი განათლების ცენტრი უზრუნველყოფს 16-20 ბავშვის სრულფასოვან სკოლამდელ განათლებას;

ჯეიმს ჰაკმანი, ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში, ამტკიცებს, რომ სკოლამდელ განათლებაში ჩადებული ინვესტიციები იძლევა, როგორც მინიმუმ, ოთხმაგ მოგებას. ასეთ მოგებას ვერ იძლევა საშუალო ან თუნდაც სპეციალური განათლებაში ინვესტირება. ამიტომ ყოველთვის, როდესაც შეეცდებით გაიმართლოთ თავი იმ მოსაზრებით, რომ ღარიბ ქვეყანას არ აქვს ფული სკოლამდელი განათლებისთვის, გახსოვდეთ:

ღარიბ ქვეყანას არ აქვს იმის ფუფუნება, რომ არ ჩადოს სახსრები სკოლამდელ განათლებაში!

ფოტოალბომი

ყოველი პროექტი იწყება მოსახლეობასთან შეხვედრებით. ამ შეხვედრებზე ვსაუბარობთ სკოლამდელი განათლების მნიშვნელობაზე, და იმაზე, თუ რა არის სკოლამდელი განათლების ცენტრი. მშობლების ჩართულობა ცენტრის მუშაობაში პროექტის ამუშავების აუცილებელი პირობაა.

მოსახლეობამ უნდა აღიქვას ახალი ცენტრი როგორც საკუთარი საქმე, რომელის წამოწყებასაც თვითონ წყვიტავს, და თვითონვე აგებს პასუხს მის განხორციელებაზე. ამიტომაც ცენტრისთვის ოთახის თუ ეზოს მოწყობა-გარემონტებას ვანდობთ მშობლებს, ჩვენ მხოლოდ ვაწვდით სარემონტო მასალებსა და იარაღებს, დანარჩენს აკეთებენ თვითონ.

სკოლამდელი ცენტრის გასახსნელად აუცილებელია უამრავი ნივთის შეძენა. საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქციიდან გამომდინარე, აქცენტი კეთდება განმავითარებელ სათამაშოებზე, თვალსაჩინოებებზე, წიგნებზე. დღეს ღამე რომ გაგვაღვიძოთ, უპრობლემოდ ჩამოგითვლით, რომელ გამომცემლობას რა საბავშვო წიგნები აქვს გამოცემული და რა ფირმის მაკრატლებია ბავშვებისთვის ყველაზე მოსახერხებელი, რომელი ფანქრები ჯობია და რომელი სათამაშო მანქანებია უფრო გამძლე. და, რაც მთავარია, სად შეიძლება ამ ყველაფრის ყველაზე იაფად შეძენა. 2007 წელს, როდესაც ვიწყებდით, ეს ჯერ არ ვიცოდით, და ამიტომ სკოლამდელი ცენტრების აღჭურვა ერთგვარ კვლევას დაემსგავსა, რომლის შედეგები ზოგჯერ სრულიად მოულოდნელი იყო. მაგალითად, აღმოვაჩინეთ, რომ საქართველოში არ იყიდება საბავშვო ბაღისთვის თვალსაჩინო მასალები, დიდი კუბურები და ბევრი სხვა რამ, რაც არსებობდა საბჭოთა დროს. სამაგიეროდ, მკვეთრად გაიზარდა წიგნების არჩევანი და გაუმჯობესდა მათი გაფორმება.

ცენტრების აღჭურვა ძალიან საინტერესო სამუშაო გამოდგა, თუმცა დამღლელი - წარმოიდგინეთ, რამდენს იწონის 6, 10 ან 20 საბავშვო ბაღის საჭირო სათამაშოები, წიგნები, საღებავები თუ პლასტელინი!

პერიოდულად ჩვენი ოფისი რაღაცა ხნით ემსგავსება საბავშვო გასართობ ცენტრს თუ სათამაშოების მაღაზიას, რაც იწვევს თანამშრომლებისა და ვიზიტორების მეტ-ნაკლებად გონებამახვილურ კომენტარებს.

ჩვენ ცენტრებს აუცილებლად სტუმრობენ პედიატრები. ისინი ამოწმებენ ბავშვების ჯანმრთელობას და მშობლებს აძლევენ შესაბამის რეკომენდაციებს. დედაქალაქიდან ჩამოსული სპეციალისტების ასეთი კონსულტაციები ძალიან მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობისთვის, და ხშირად ექიმებს ვიზიტების დროს უწევთ არა მარტო ამ ჯგუფების ბავშვებისა და მათი დებისა და ძმების შემოწმება, არამედ სოფლის სხვა ბავშვებისაც. ჩვენი ექიმების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ასეთ დამატებით სამუშაოზე არასოდეს ამბობენ უარს.

2011 წელს რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის ოთხივე მუნიციპალიტეტის სოფლებში ყველა მსურველისთვის გაიმართა ტრენინგ-შეხვედრები სპეციალისტებთან. შეხვედრებმა გამოიწვია დიდი ინტერესი, და მათ დაესწრნენ როგორც სკოლამდელი ცენრების, ასევე უმცროსი ასაკის ბავშვების მშობლები, და ისინიც კი, ვისაც ბავშვი ჯერ არ ჰყავდა. იყო აზრების გაზიარება და ცხარე კამათებიც. ჩვენი აზრით, ეს შეხვედრები ძალზე სასარგებლო იყო მოსახლეობის გაცნობიერებისთვის 0-დან 6 წლამდე ბავშვის განვითარებისა და ფსიქოლოგიის საკითხებში. სოფლებში ჩავიტანეთ და საერთო საკუთრებაში დავტოვეთ შესაბამისი ლიტერატურაც.

სკოლამდელი განათლების ცენტრებს მუშაობაში ეხმარებიან სპეციალისტები - მეთოდისტი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი. ისინი ატარებენ ტრენინგებს, ჩადიან ყოველ ცენტრში და ადგილზე უწევენ კონსულტაციებს მასწავლებლებს და მშობლებს. სპეციალისტების კონსულტაციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარების დეფიციტების ადრეულ სტადიაზე გამოვლენისთვის - რაც უფრო ადრეულ ასაკში გამოვლინდება ასეთი დეფიციტები, მით უფრო ადვილია მათი გამოსწორება.

ალტერნატიული ფორმების გამოყენება სკოლამდელ განათლებაში იძლევა მოქნილად მოქმედებისა და სიტუაციაზე სწრაფი რეაგირების საშუალებას. როდესაც 2008 წლის ომის შედეგად დავკარგეთ ორი სკოლამდელი ცენტრი (სოფელ კეხვში და ახალგორში), „დაზოგილი“ თანხა მივმართეთ დევნილი ბავშვების დახმარებაზე, და გავხსენით სკოლამდელი განათლების ცენტრი დევნილთა ბანაკში, თოხლიაურში. მასწავლებელიც შევარჩიეთ ამ ბანაკში მცხოვრებ დევნილთა შორის. ჯგუფი ფუნქციონირებდა რამდენიმე თვე, სანამ დევნილები განსახლდნენ მათთვის აშენებულ სახლებში.

გარდაბნის სკოლამდელი განათლების ცენტრის მასწავლებელი ზეინაბ ბერაძე, რომელმაც 2008 წელს გარდაბანში იმუშავა აზერბაიჯანელი ბავშვების ჯგუფთან. ბავშვები, რომლებმაც დასაწყისში სიტყვა არ იცოდნენ ქართულად, ოთხ თვეში ერთმანეთში უკვე ქართულად საუბრობდნენ. დედებიც ხალისით მორიგეობდნენ ჯგუფში, და თვითონაც ენთუზიაზმით სწავლობდნენ ქართულს.

ჯგუფის ოთახი სულ პატარა იყო, და იქ ოთხ მაგიდაზე მეტი არ ეტეოდა. ამიტომ 16 ბავშზე მეტის მიღების საშუალება არ იყო, და სკამიც სულ 16 ჰქონდათ. როცა ერთ-ერთი ბავშვის უმცროსმა ძმამ დაიწყო ხვეწნა - მეც მიმიღეთო, მას აუხსნეს, რომ მისთვის სკამიც კი არ არის და ვერ მიიღებდნენ. მეორე დღეს ეს ბავშვი გამოცხადდა მეცადინეობაზე საკუთარი სკამით.

სასწავლო ვიზიტებმა პოლონეთში გაამდიდრა ჩვენი ცოდნა და მოგვცა ახალი ინფორმაცია სკოლამდელი განათლების ალტერნატიული ფორმების ორგანიზების, მართვისა და მეთოდიკის შესახებ. ეს ვიზიტები ძალზე მნიშვნელოვანი იყო როგორც საბავშვო ბაღების მასწავლებლებსა და მენეჯერების, ასევე თვითმმართველობების წარმომადგენლებისთვის.

ახალი მეთოდიკის გაცნობა: ინტეგრირებული მეცადინეობა პოლონეთის სკოლამდელი განათლენბის ცენტრში

თვითმმართველობის გამოცდილების გაზიარება: შეხვედრა ქალაქ ლომჟას მერთან

ვეცნობით თამაშის პედაგოგიკას

პოლონეთის ბავშვთა უფლებების დამცველთან (ომბუდსმენთან)

სკოლამდელი განათლების პროექტების კოორდინატორები

ალექსანდრე კალანდაძე (საქართველო)

მაჟენა რაფალსკა (პოლონეთი)

სკოლამდელი განათლების ადგილობრივი სტრატეგიების პრეზენტაცია.

შეხვედრები თვითმმართველობებთან.

ტრენინგები, ტრენერები...

იოლანტა შიმონი, სკოლამდელი განათლების პროექტების კოორდინატორის ასისტენტი და დაუღალავი ტრენერი

ოლღა მუსხელიშვილი
პროექტის პრეზენტაცია

მუშაობა სკოლმდელი
განათლების მუნიციპალურ
სტრატეგიებზე

სკოლამდელი განათლების ალტერნატიული ფორმები იძლევა ახლებური და კრეატიული მიდგომების საშუალებას. მასწავლებლები დიდი ენთუზიაზმით და ხალისით სწავლობენ ახალ მეთოდიკებს. ტრენინგების ყველაზე სახალისო ნაწილია თამაშის პედაგოგიკა და სახვითი ხელოვნება

გაგვიჩნდა იმედი, რომ დავძლებთ გამყარებულ სტერეოტიპებს, და სკოლამდელი დაწესებულების მასწავლებლებად მოვიზიდავთ მამაკაცებსაც. ერთი მაგალითი უკვე სახეზეა: სოფელ საჭამიასერის სკოლამდელი განათლების ცენტრის პედაგოგი მასწავლებლების ტრენინგზე.

დანართები

დანართი 1

"ედუკატორი" და "კივიტას გეორგიკა" - ერთად განხორციელებული პროექტები

წელი	სახელწოდება	მუნიციპალიტეტი	დონორი
2012	სკოლამდელი განათლების ხარისხი - ადგილობრივი თვითმმართველობების საგანმანათლებლო პოლიტიკის მხარდაჭერა	ბორჯომი, ასპინძა, ახალციხე, ადიგენი, წალენჯიხა, აბაშა, მარტვილი, ხობი	პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო
2012	კონფლიქტის ზონაში ბავშვების კომპლექსური მხარდაჭერა - სკოლამდელი განათლების ცენტრი ხურჩაში	ზუგდიდი	RITA-ფონდი განათლება დემოკრატიისათვის
2011	სკოლამდელი განათლების ადგილობრივი სტრატეგიები	ამბროლაური, ონი, ცაგერი, ლენტეხი	პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო
2011	საბავშვო ბაღის მართვის ინოვაციური მოდელი	საგარეჯო	RITA-ფონდი განათლება დემოკრატიისათვის
2010	საბავშვო ბაღი - ადგილობრივი თემის ცენტრი	ხაშური, სენაკი, ოზურგეთი, ჩოხატაური, ზუგდიდი, ლანჩხუთი.	პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო
2009-2011	ალტერნატიული სკოლამდელი განათლება საქართველოში	გარდაბანი, საგარეჯო, ლანჩხუთი	RITA-ფონდი განათლება დემოკრატიისათვის
2009	ერთად განვითარებისათვის - საინტეგრაციო ცენტრები იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად	10 ცენტრი იძულებით გადაადგილებულ პირთა დროებითი ჩასახლების ადგილებში	პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო
2008	საინტეგრაციო ცენტრები ალტერნატიული საბავშვო ბაღების ბაზაზე	ხაშური, ქარელი	RITA-ფონდი განათლება დემოკრატიისათვის
2008	სკოლამდელი საგანმანათლებლო ცენტრები სასოფლო ტერიტორიების განვითარებისათვის	გარდაბანი, ხაშური, ლანჩხუთი, საგარეჯო, ახალგორი, ლიახვის ხეობის სოფლები, ოზურგეთი	პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო
2008	ალტერნატიული საბავშვო ბაღები საქართველოში	გარდაბანი, ხაშური, ლანჩხუთი	RITA-ფონდი განათლება დემოკრატიისათვის

დანართი 2

სკოლამდელი განათლების საკანონმდებლო ბაზა - მიმოხილვა

რევაზ ეგაძე, გიორგი ციქუბაძე

2004 წლამდე საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული იყო: "სახელმწიფო უზრუნველყოფს სკოლამდელ განათლებას", ანუ სახელმწიფო აღიარებდა იმ ფაქტს, რომ სკოლამდელი განათლება წარმოადგენს ზოგადი განათლების საწყის საფეხურს და სკოლამდელი დაწესებულებები უნდა ასრულებდნენ საგანმანათლებლო ფუნქციებს. 2004 წელს კონსტიტუციამ განიცადა ცვლილებები და ეს მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: "სკოლამდელ განათლებას სახელმწიფო უზრუნველყოფს კანონით დადგენილი წესით"[1]

ეს კი ნიშნავს, რომ ზოგადი განათლებისგან განსხვავებით, რომელიც სავალდებულოა და სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ,სახელმწიფო არ იღებს საკუთარ თავზე სკოლამდელი აღზრდის სრულად დაფინანსების ვალდებულებას,ისევე როგორც არ იღებს ყველა სკოლამდელი ასაკის ბავშვის საბავშვო ბაღში ადგილით უზრუნველყოფის ვალდებულებას.

2006 წელს საქართველოში ჩატარებული რეფორმების შედეგად სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების შექმნა,მართვა და დაფინანსება გახდა თვითმმართველობების ექსკლუზიური უფლება[2], ხოლო საქართველოს კანონმდებლობა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში სწავლების წარმართვის შესახებ შემოიფარგლება ზოგადი ხასიათის დებულებებით.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე თვითმმართველი ერთეულის დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულებებია, რომელთა ლიკვიდაციას, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად დაფუძნებას ან/და რეორგანიზაციას,მათი ხელმძღვანელების თანამდებობაზე დანიშვნას და გათავისუფლებას ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტების გადაწყვეტილებებით ქვეყნის მასშტაბით უმეტეს შემთხვევებში მოხდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებად (ა(ა)იპ) ჩამოყალიბება,რომლებშიც ამ მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედი საბავშვო ბაგა-ბაღები შევიდნენ სტრუქტურული ქვედანაყოფების სახით.

დარეგულირდა სამართალმემკვიდრეობის საკითხებიც და ახლად ჩამოყალიბებული ა(ა)იპ-ები ჩაითვალა იმ იურიდიული პირების სამართალმემკვიდრეებად,რომელთა ბაზაზეც დაფუძნდნენ. შენობა-ნაგებობებსა და სხვა ქონებაზე საკუთრების უფლება გადაეცა ადგილობრივ თვითმმართველობებს.

აუცილებელია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ არსებული კანონმდებლობა არ არეგულირებს სკოლამდელი დაწესებულებების კურიკულუმსა და მეთოდიკას, აღმზრდელების კვალიფიკაციას, მუშაობის ხარისხის შეფასებასა და შედეგების შემოწმებას. მოკლედ რომ ვთქვათ, *სახელმწიფოში არ არსებობს სკოლამდელი განათლების ხარისხის კონტროლის მექანიზმები.*

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2008 წლიდან დღემდე შეიმუშავა სკოლამდელი განათლების მიზნები და სტანდარტები[3], სახელმძღვანელო და პროგრამა მასწავლებლებისათვის, აგრეთვე გამოიცა სა-

---

[1] საქართველოს კონსტიტუცი, 35 მუხლი, მე-3 პუნქტი.

[2] 2008 წლის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ფ" ქვეპუნქტისა და „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის $კ^1$ პუნქტი.

[3] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 11 ნოემბრის #958 ბრძანება

ბავშვო ბაღის მართვისა და ფიზიკური გარემოს მოწყობის გზამკვლევები. ანუ, მიუხედავად იმისა, რომ სკოლამდელი აღზრდა კანონმდებლობით პირდაპირ არ არის განმარტებული,მაინც ახლოს არის განათლების სფეროსთან და რეგულირდება ამ სფეროში მიღებული ნორმატიული აქტებით.

თუმცა აქ კანონმდებლობაში არის გარკვეული შეუსაბამობა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცემული ყველა სახელმძღვანელო და დადგენილება იურიდიულად ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს და ფაქტობრივად კანონშეუსაბამო ნორმებს წარმოადგენს მიმდინარე პერიოდისთვის, ვინაიდან , ზემოთაც აღინიშნა, რომ საბავშვო ბაღების საკითხების რეგულირება არის ადგილობრივი თვითმმართველობის პრეროგატივა.



დანართი 3

სკოლამდელი განათლების ეკონომიკური მდგომარეობის მიმოხილვა

რევაზ ეგაძე, გიორგი ციქურიძე

სკოლამდელი განათლების დაფინანსება ძირითადად ადგილობრივი თვითთმმართველობების პროგრამაა. მთლიანად სკოლამდელ განათლებაზე სახელმწიფოს მიერ გაწეულ ხარჯებში მუნიციპალიტეტების წილი თითქმის 100 პროცენტია, რამაც 2009 წელს 71 მლნ ლარი შეადგინა. ადგილოდრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებს ემატება მშობლების შემონატანი. ბოლო სამი წლის განმავლობაში, სკოლამდელ განათლებაზე დანახარჯები, ნომინალური მნიშვნელობით,იზრდება. მუნიციპალიტეტების დაფინანსების ზრდასთან ერთად, იზრდება მშობლების შემონატანებიც.

სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში დაფინანსების რაოდენობა და სტრუქტურა საკმაოდ განსხვავდება, ისევე როგორც განსხვავდება ბავშვების რაოდენობა მუნიციპალიტეტებში, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, ბაღების რაოდენობა და ბავშვების რაოდენობა მუნიციპალიტეტების ბაღებში[4].

2009 – 2010 წლების მონაცემები:

	საშუალო	მედიანა	მინიმუმი	მაქსიმუმი
ბაღების დაფინანსების წილი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში	5.7%	5.4%	1.1%	13.7%
ერთ ბავშვზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსება	673.43	654.54	196.20	1688.08
მშობლების წილი ბიუჯეტში	13.1%	10.7%	3.0%	48.5%
მშობლების კონტრიბუცია ერთ ბავშვზე	84.95	77.16	19.10	275.00
სულ ერთ ბავშვზე	743.54	681.15	380.78	1740.52

ბაღების დანახარჯების დაახლოებით ნახევარი ხელფასებზე მოდის (2009 წელს მუნიციპალიტეტების მიერ ხელფასებზე გაწეული ხარჯების საშუალო მაჩვენებელმა 581 ათასი ლარი შეადგინა, რაც მუნიციპალიტეტების მიერ სკოლამდელ განათლებზე გაწეული ხარჯების საშუალო მაჩვენებლის 49 პროცენტია). კომუნალური ხარჯები მუნიციპალიტეტების სკოლამდელ განათლებაზე გაწეული ხარჯების საშუალოს 5 პროცენტს შეადგენს

[4] აქ ჩვენ ვეყრდნობით UNICEF-ის 20010 წლის კვლევის შედეგებს და მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული მონაცემებს

	საშუალო	მედიანა	მინიმუმი	მაქსიმუმი
ხელფასების წილი ბიუჯეტში	57.5%	62.8%	10.4%	77.7%
მათ შორის აღმზრდელების ხელფასები	34.8%	33.3%	17.0%	62.0%
მათ შორის დამხმარე პერსონალის ხელფასები	45.3%	45.7%	9.1%	73.1%
მათ შორის ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასები	19.9%	16.6%	3.8%	51.1%
კომუნალური ხარჯების წილი ბიუჯეტში	7.6%	5.6%	1.1%	26.1%

როგორც ვხედავთ, სკოლამდელ განათლებაზე გამოყოფილი თანხების ნახევარზე მეტი იხარჯება ხელფასებზე. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან სკოლამდელი განათლების ერთადერთ ფორმად აქამდე თითქმის ყველგან რჩება „სტანდარტული“ საბავშვო ბაღი, სადაც ბავშვები ატარებენ მთელ დღეს. ასეთი ბაღის საშტატო განრიგი, აღმზრდელებისა და ძიძების გარდა, ითვალისწინებს მინიმუმ 11 საშტატო ერთეულს. გარდა ამისა, „სტანდარტულ“ ბაღს სჭირდება საკმაოდ დიდი ფართი, სადაც იქნება დაცული ყველა სანიტარული ნორმა ბავშვების კვებით უზრუნველსაყოფად. ასეთი ბაღის აშენება და/ან შენახვა დიდ ხარჯებს მოითხოვს, ხოლო მცირედასახლებულ სოფლებში საერთოდ შეუძლებელია. ამით შეიძლება აიხსნას საბავშვო ბაღების არასაკმარისი რაოდენობა ქვეყანაში - თვითმმართველობებს არ აქვთ სახსრები იმისთვის, რომ საბავშვო ბაღი იყოს ყოველ დასახლებულ პუნქტში.

დანართი 4

სკოლამდელი განათლების ცენტრის პროგრამა[5]

I. სკოლამდელი განათლების ცენტრი (ჯგუფი)

სკოლამდელი განათლების ჯგუფი ორგანიზებულია შემდეგნაირად:

1. ჯგუფი აერთიანებს სხვადასხვა ასაკის ბავშვებს (3-დან 6 წლამდე);
2. ჯგუფში ბავშვების მაქსიმალური რაოდენობა არის 16;
3. ბავშვები ჯგუფში ატარებენ 4-5 საათს;
4. ბავშვებთან მუშაობს მასწავლებელი და ასისტენტი, რომლის როლსაც მორიგეობით ასრულებენ მშობლები.

განვიხილოთ თითოეული პუნქტი ცალ-ცალკე.

1. ყვალა ბავშვი 3-დან 6 წლამდე გაერთიანებულია ერთ ჯგუფში - სტანდარტული ბაღისგან განსხვავებით, სადაც ბავშვები განაწილებულნი არიან ჯგუფებში ასაკის მიხედვით. ამისთვის არსებობს რამდენიმე მიზეზი. ერთი არის პატარა სოფლებში სკოლამდელი ასაკის ბავშვების რაოდენობის სიმცირე, მაგრამ ეს არ არის მთავარი. შერეული ჯგუფი ასახავს ბუნებრივ, ისტორიულად ჩამოყალიბებულ სოციალურ გარემოს, რაც ხელს უწყობს ბავშვების სოციალური ცოდნისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. უფროსი ბავშვები ზრუნავენ უმცროსებზე, უმცროსები კი ცდილობენ არაფერში ჩამორჩნენ უფროსებს, რაც დადებითად მოქმედებს ორივეს განვითარებაზე.

2. ჯგუფში ბავშვების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 16, სხვა შემთხვევაში მასწავლებელი ვერ უზრუნველყოფს ყოველი ბავშვისადმი ინდივიდუალურ მიდგომას, ასეთი მიდგომა კი ერთ-ერთი მთავარი ელემენტია სკოლამდელი განათლების ჯგუფის მეთოდიკაში.

3. ბავშვები ჯგუფში ატარებენ 4-5 საათს (ყოველდღიურად, ან კვირაში 3-4 დღე). ეს ხსნის ბავშვების კვების პრობლემას, ამიტომ აღარ არის საჭირო სპეციალური ინფრასტრუქტურა და დამატებითი შტატები. ჯგუფის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის საკმარისია ერთი ოთახი - ეს შეიძლება იყოს ოთახი სკოლის, ბიბლიოთეკის, ან ნებისმიერ სხვა საჯარო შენობაში. როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, 16-20 საათი კვირაში სავსებით საკმარისია შემუშავებული პროგრამის სრულყოფილი ათვისებისთვის, თუ მასწავლებელი მუშაობს შესაბამისი მეთოდიკით. განვითარების დონით სკოლამდელი განათლების ჯგუფის ბავშვები არ ჩამოუვარდებიან (ზოგჯერ კი უსწრებენ) იმ ბავშვებს, რომლებიც ყოველდღიურად მთელ დღეს ატარებენ სტანდარტულ ბაღში.

   იმას, რომ ბავშვი ჯგუფში არ ატარებს მთელ დღეს, აქვს დადებითი მხარეც - ბავშვი არ არის მთელი დღით მოწყვეტილი ოჯახიდან, მას რჩება საკმარისი დრო ოჯახის წევრებთან ურთიერთობისათვის, რაც თავისთავად მნიშვნელოვანია ბავშვის განვითერებისათვის.

4. მასწავლებელს დახმარებას უწევს მშობელი, მშობლები რიგ-რიგობით ასრულებენ ამ მოვალეობას. ეს აძლევს მშობლებს საშუალებას ჩართულნი იყონ ჯგუფის საქმიანობაში, უკეთესად დაინახონ საკუთარი შვილების მიღწევები თუ პრობლემები, და გაიზიარონ მათი ინტერესები. მშობლები ბავშვებთან ერთად მონაწილეობენ ჯგუფის ყველა ღონისძიებაში, აგრეთვე ოთახის გარემონტება - მოწყობაში, ეზოში სათამაშო და სპორტული კუთხეების ორგანიზებაში.

[5] ამონარიდები. სრული სახით სკოლამდელი განათლების ცენტრის პროგრამა შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს საიტზე http://www.civitas.ge

II. ძირითადი მიზნები[6]

სკოლამდელი განათლების ძირითადი ამოცანაა შეიქმნას ისეთი გარემო, რომ 6 წლის ასაკისათვის ბავშვის განვითარებაში მიღწეულ იქნას სასურველი შედეგები შემდეგ სფეროებში:

სოციალურ-ემოციური განვითარება

1. ბავშვი იწყებს მეს-ცნობიერების განვითარებას, საკუთარ თავზე აქვს დადებითი წარმოდგენა, საკუთარი თავის რწმენა და შესწევს უნარი დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, თუ როგორ იმოქმედოს, საფუძველი ეყრება საკუთარ მოქმედებებზე პასუხისმგებლობის აღების უნარს.

2. იმდენად აქვს განვითარებული სოციალური უნარები, რომ შეუძლია ურთიერთპატივისცემის საფუძველზე დაამყაროს პოზიტიური, ურთიერთობა, ასევე მოაგვაროს უთანხმოება თანატოლებთან და უფროსებთან. შეუძლია მონაწილეობა მიიღოს როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ თამაშებში. განვითარებული აქვს თანაგრძნობის უნარი. შეუძლია საკუთარი არჩევანის, სურვილების, დამოკიდებულებების და განცდების გასაგები და მისაღები ფორმით გამოხატვა.

ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება

1. იმდენად აქვს განვითარებული მსხვილი და ნატიფი მოტორიკა, რომ შეუძლია სხეულის მოძრაობის მართვა, ზუსტი მოძრაობების შესრულება.

2. იცავს უსაფრთხოების მარტივ წესებს.

3. იცავს პირად ჰიგიენას და აქვს თავის მოვლის უნარ-ჩვევები, ასრულებს ჯანსაღი ცხოვრების წესებს.

შემეცნებითი განვითარება

1. ბავშვი იწყებს იმ ღირებულებების გაცნობას და გათავისებას, რომლებზეც დაფუძნებულია მისი გარემომცველი საზოგადოების ცხოვრება; იცნობს როგორც საკუთარი კულტურულ მემკვიდრეობას, ასევე იცის, რომ არსებობს სხვა კულტურები და, შესაბამისად, პატივს სცემს მათ.

2. იმდენად აქვს განვითარებული შემეცნებითი უნარები, რომ მზად არის დაეუფლოს წერა-კითხვას. განვითარებული აქვს დროითი, სივრცითი და რაოდენობრივი წარმოდგენები, ასევე - ყურადღება, მეხსიერება. არის დაკვირვებული, შეუძლია საქმიანობის პროცესში მარტივი დასკვნის გამოტანა და პრობლემის გადაჭრა; აქვს ზოგადი ცოდნა სამყაროს შესახებ.

3. განვითარებული აქვს შემოქმედებითი და ესთეტიკური უნარები; სხვადასხვა შინაარსის გადმოსაცემად შეუძლია გამოიყენოს მრავალი ფორმა: თამაში, ხატვა, სიმღერა, მუსიკა, ცეკვა და ინსცენირება.

მეტყველების განვითარება

1. იმდენად აქვს განვითარებული სამეტყველო უნარები, რომ შეუძლია სახელმწიფო ენაზე გასაგებად ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი და გაიგოს სხვისი ნათქვამი; აქვს მოსმენის ელემენტარული კულტურა.

2. გამოხატავს ინტერესს ნაბეჭდი გამოცემების მიმართ, აქვს მათი აღქმის უნარი და იცის რისთვის არის ისინი განკუთვნილი. წერილობითი სიმბოლოების მიმართ ამჟღავნებს ინტერესს და იცის მათი დანიშნულება.

სწავლისადმი მიდგომა

1. არის ცნობისმოყვარე, შემოქმედებითი, აქტიური, და ლაღი; სიამოვნებს თამაში და ახალი გამოცდილების მიღება.

2. უვითარდება ინფორმაციის გადამუშავების უნარი.

[6] შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ

III. მეთოდიკა

ყოველი ბავშვი არის უნიკალური პიროვნება მონაცემების უზარმაზარი პოტენციალით, და ამ პოტენციალის განვითარებისათვის იმანენტური მზადყოფნით. **ყოველი ბავშვი ნიჭიერია!** მაგრამ იმისთვის, რომ ბავშვმა შეძლოს თავისი განვითარების პოტენციალის რეალიზება, მისი მიმდინარე მოთხოვნილება განათლებაზე დაკმაყოფილებულ უნდა იქნას დროულად და ოპტიმალურ დონეზე. სწორედ ამაში ჩვენ ვხედავთ სკოლამდელი განათლების ნებისმიერი დაწესებულების მთავარ ამოცანას, და ამაზე არის გაკეთებული მთავარი აქცენტი მოცემულ პროგრამაში.

სკოლამდელი განათლების ჯგუფის მეთოდიკა დაფუძნებულია შემდეგ პრინციპებზე:

- **ბავშვისადმი ინდივიდუალური მიდგომა**
- **ბავშვისთვის ემოციურად კომფორთული, მეგობრული გარემოს შექმნა**
- **ბავშვის, როგორც პიროვნების, და მისი უფლებების პატივისცემა**
- **ბავშვის ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა**

ბავშვისადმი მიდგომა.

ყოველ ბავშს ახასიათებს განვითერების ინდივიდუალური რითმი და თავისებურება, და ამის გათვალისწინება აუცილებელია. ამიტომ მასწავლებელი ყურადღებით უნდა აკვირდებოდეს ყოველ ბავშვს და პერიოდულად (ბავშის მიღებისას და შემდეგ - ყოველ 2-3 თვეში) ახდენდეს მისი მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობების შეფასებას, რათა განვითარების ყოველ ეტაპზე შეძლოს სწორად განსაზღვროს "უახლოესი განვითარების ზონა" და შესაბამისად დაგეგმოს მეცადინეობები. ბავშვის წინაშე დასმული ამოცანები უნდა იყოს მისი ცოდნის, გამოცდილებისა და შესაძლებლობების ადექვატური.

პედაგოგი ცდილობს მინიმალურად ჩაერიოს ბავშვების კონფლიქტებში, არ ეძებს დამნაშავეს, არ იყენებს სასჯელს. კონფლიქტი განიხილება როგორც პრობლემა, რომელიც საჭიროებს გადაწყვეტას, ბავშვებს უნდა დარჩეთ შესაძლებლობა საკუთარი ძალებით გადაწყვიტონ ეს პრობლემა.

ბავშვები დამოუკიდებლად (თუ ამ პროცესში საჭირო ხდება პედაგოგის დახმარება, ის ბავშვებისათვის შეუმჩნეველი უნდა დარჩეს) თანხმდებიან ჯგუფში თანაცხოვრების წესებზე (4-5 წესი, რომლებსაც მასწავლებელი შემდგომ გამოფენს კედელზე), და თვითონვე აკონტროლებენ ამ წესების დაცვას.

პედაგოგი პატივს სცემს ბავშვის უარის უფლებას, უფლებას ჰქონდეს საკუთარი აზრი, განვითარების საკუთარი ტემპი. მან უნდა ყურადღებით მოისმინოს ბავშვის აზრი, მისცეს საქმიანობის არჩევანის საშუალება და დაუფასოს სამუშაოს შესრულების დროს გაწეული შრომა. პედაგოგი ცდილობს ყოველი ბავშვის მხარდაჭერას, წახალისებასა და შექებას, მისი წარმატებების ხაზგასმას და სიძნელეების დამოუკიდებლად გადალახვის სტიმულირებას.

თამაშის პედაგოგიკა

დაწყებითი განათლება მაქსიმალურად უნდა ეყრდნობოდეს სენსო-მოტორულ საფუძველს. ბავშვი იძენს პირველად ცოდნას საკუთარი გამოცდილებთ და ამ გამოცდილების შემდგომი გააზრების შედეგად. ამიტომ სასურველია, რომ ის, რასაც ბავშვები სწავლობენ, დაკავშირებული იყოს უშუალო გამოცდილებასთნ, გრძნობებთან, დადებით ემოციებთან. მხოლოდ მოყოლა ან სურათის ჩვენება ხშირად არ არის საკმარისი, ასეთი გზით შეძენილი ცოდნა ნაკლებად მდგრადია.

"რით უფრო მეტად ეყრდნობა ცოდნა შეგრძნებას, მით უფრო არის ის საფუძვლიანი" - ი. კამენსკი

ამიტომ პედაგოგის ამოცანაა უზრუნველყოს პირობები ბავშვის დამოუკიდებელი შემოქმედებისათვის და მისცეს მას საშუალება შეიძინოს ცოდნა საკუთარი აღმოჩენებისა და ექსპერიმენტების გზით, თანატოლებთან და უფროსებთან ინტერაქტიული ურთიერთობების საფუძველზე. მასწავლებლის მიერ ჩატარებული განათლებითი ხასიათის მეცადინეობები დღის პროგრამის ძალზე მნიშვნელოვანი ელემენტია, მაგრამ ბავშვის

სოციალურ-ემოციური განვითარებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია თავისუფალი თამაშის ან დასვენების დრო.

თამაში სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის ქცევის ძირითადი ფორმაა, და მას აქვს უდიდესი მნიშვნელობა ბავშვის ინდივიდუალურობის ჩამოყალიბებისთვის.

"თამაში, შეიძლება ითქვას, ერთადერთი სინამდვილეა, რომელშიც ბავშვი ცხოვრობს და ერთადერთი ძირითადი პრაქტიკის ფორმაა, რომლის ნიადაგზეც მისი განვითარება მიმდინარეობს" *(დ. უზნაძე).*

"თამაში არის უშველებელი ნათელი ფაქნჯარა, საიდანაც ბავშვის სამყაროში შემოედინება ცნებების, გარე სამყაროზე წარმოდგენების უწყვეტი ნაკადი." *(ვ.სუხომლინსკი).*

სწორად შერჩეული თამაშები გვეხმარება შევიყვანოთ ბავშვები სწავლების პროცესში, მოვამზადოთ ისინი დატვირთვებისთვის, მათ შორის, სკოლაში ურთიერთობებისთვის, რომლისთვისაც ბავშვი ჯერ მზად არ არის. თამაშის დროს ბავშვები დამოუკიდებლად ურთიერთობენ ერთმანეთთან, მათ აერთიანებთ საერთო მიზანი, ერთიანად ცდილობენ მის მიღწევას, იზიარებენ საერთო ინტერესებსა და განცდებს. თამაშის დროს ბავშვი ხდება ჯგუფის წევრი, სწავლობს სხვებისა და საკუთარი მოქმედებებისა და ქცევის შეფასებას. ეს არის საზოგადოებრივი გამოცდილების ათვისების თავისებური, სკოლამდელი ასაკისათვის დამახასიათებელი გზა. თამაში ასწავლის ბავშვს ურთიერთობებს, ყურადღებას, საკუთარი აზრების სწორად გამოხატვასა და დიალოგის წარმართვას, ანვითარებს მეტყველებას. ბავშვი სწავლობს საკუთარი აზრების, გრძნობების, მისწრაფებების გამოხატვას, მიზანსწრაფვას. თამაში ბავშვს ასწავლის გარკვეული შეთანხმების შედეგად დადგენილი პირობითი ნორმებისადმი დამორჩილება-დაქვემდებარებას. და ბოლოს, ნებისმიერ ინფორმაციას ბავშვი ყველაზე კარგად ითვისებს სწორედ თამაშით. ამიტომაც სწავლების მთავარ ფორმებად სკოლამდელი განათლების ჯგუფში მიღებულია თამაში და ექსპერიმენტი (რომელიც, ცხადია, სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის ისევ თამაშია).

ოთახის მოწყობა და დღის წესრიგი

ოთახში, სადაც მუშაობს ჯგუფი, უნდა იყოს საკმარისი თავისუფალი ადგილი მოძრავი თამაშებისთვის (ჯგუფის საერთო შეკრებისათვის), მაგიდები და სკამები, ხოლო დანარჩენი სივრცე ისეთნაირად უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ბავშმა შეძლოს დამოუკიდებლად აირჩიოს მისთვის სასურველი საქმიანობა და მერე ადვილად აალაგოს ის საგნები, რომლებიც იხმარა. ამ თვალსაზრისით ყველაზე კარგია ოთახის ორგანიზება თემატური კუთხეების მიხედვით. (ხშირად ხდება, რომ არ არის სახსრები სპეციალური თაროების შესაძენად. ასეთ შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ, მაგალითად, სხვადასხვა ზომის მუყაოს ყუთები. გადავაკრათ ამ ყუთებს ფერადი ქაღალდი და დავამაგროთ ორ, ან სამ სართულად. ამ საქმიანობაში, ისევე, როგორც საერთოდ ოთახის მოწყობაში, აქტიურ მონაწილეობას იღებენ ხოლმე მშობლები, რაც ასეთ თაროებს დამატებით ღირებულებას შესძენს). თემატური კუთხეების არსებობა აძლევს მასწავლებელს შესაძლებლობას ჩაატაროს მეცადინეობა ჯგუფის ნაწილთან, ან თუნდაც ერთ ბავშვთან, დანარჩენები კი ამ დროს თამაშობენ საკუთარი ინტერესების მიხედვით.

დღე ჯგუფში იწყება მისალმებით და თავისუფალი თამაშით ინტერესების მიხედვით, ხოლო შემდგომი დღის გეგმა მასწავლებელს დაბალანსებული აქვს ისეთნაირად, რომ მაგიდებთან მუშაობას (რომელიც გრძელდება არაუმეტეს 15-20 წუთისა), ენაცვლება მოძრავი თამაში, შემდეგ ისევ წყნარი სამუშაო. ორგანიზებული მეცადინეობა არ უნდა მოიცავდეს მთელი დროის ორ მესამედზე მეტ ხანს. ბავშვებს უნდა დარჩეთ დრო ურთიერთობისთვის, თავისუფალი თამაშისათვის, დასვენებისთვის. ეს დრო აგრეთვე შეიძლება გამოყენებული იქნას ბავშვებთან საუბრისთვის ან აქტუალურ თემებზე დისკუსიისთვის.

დღის ბოლოს - შედეგების შეჯამება, რომელსაც ხშირად ესწრებიან ბავშვების წასაყვანად მოსული მშობლები.

პროგრამის სტრუქტურა და დღის სცენარი

ბავშვის განათლების პროგრამა პირობითად დაყოფილია ხუთ სფეროდ:

1. სოციალურ-ემოციური სფერო;
2. ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება;
3. საბუნებისმეტყველო განათლება;
4. ლიტერატურა და მეტყველების განვითარება;
5. ხელოვნება.

ეს დაყოფა პირობითია, ვინაიდან ძნელი სათქმელია, განვითარების რომელ სფეროს მიეკუთვნება ბავშვის ესა თუ ის საქმიანობა. მაგალითად, როცა ბავშვი ხატავს, რა არის ეს - ფიზიკური განვითარება (ვითარდება წვრილი მოტორიკა), ხელოვნება, წერისთვის მომზადება თუ ინტელექტის განვითარება? სფეროებად დაყოფა უბრალოდ იძლევა პროგრამის სტრუქტურირების საშუალებას და უადვილებს მასწავლებელს სცენარის შედგენას - კვირის პროგრამაში ხუთივე სფეროს ელემენტები უნდა შედიოდეს მეტ-ნაკლებად თანაბრად.

მთლიანი საპროგრამო მასალა (იხ. ნაწილი IV) ბუნებრივად იყოფა ოთხ ნაწილად - წელიწადის დროების მიხედვით - ვინაიდან საბუნებისმეტყველო მეცადინეობების ჩატარება მიზანშეწონილია სეზონის გათვალისწინებით. სეზონებს აგრეთვე უკავშირდება ზეიმები და დღესასწაულები, მასალა სამხატვრო შემოქმედებისათვის (გირჩები, ფოთლები და ა.შ) და სხვა.

თითოეული ნაწილი, თავის მხრივ, იყოფა თემებად კვირების რაოდენობის მიხედვით - როგორც წესი, ყოველი კვირა ეძღვნება ერთ რომელიმე თემას. მასწავლებელი ხშირად აძლევს ბავშვებს უფლებას თვითონ შეარჩიონ კვირის თემა. შერჩეული თემის მიხედვით მასწავლებელი წერს კვირის თითოეული დღის სცენარს, რომელშიც გაწერილია კონკრეტული აქტივობები დღის განმავლობაში. დღის სცენარი გამოიყენება მოქნილად, ზოგჯერ, ბავშვების სურვილის შესაბამისად, უამინდობის ან სხვა მიზეზის გამო, სცენარი შეიძლება კარდინალურად შეიცვალოს. ამიტომ მასწავლებელს მომზადებული უნდა ჰქონდეს სცენარის რამდენიმე ვარიანტი. კვირის ბოლოს მასწავლებელი აჯამებს ჩატარებულ მუშაობას - რა გამოვიდა, რას მივაღწიეთ და რას - ვერა, და, შესაბამისაქდ, შეაქვს კორექტივები მომდევნო კვირის გეგმაში.

ზოგი თემა ვერ ეტევა ერთი კვირის ფარგლაბში, არის თემები, რომლებიც მოითხოვს გაცილებით მეტ დროს, ზოგი გრძელდება მთელი წლის განმავლობაში (მაგალითად, ამინდის კალენდრის წარმოება), ან ხელახლა ჩნდება პერიოდულად (მაგალითად, მცენარეთა წლიურ ციკლზე დაკვირვება).

დაკვირვება, კვლევა და ექსპერიმენტი პროგრამის ძალზე მნიშვნელოვანი შემადგენელია, საჭიროა მათზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება. ძალიან მნიშვნელოვანია ყოველი კვლევის შეჯამება და შედეგების განხილვა. ამ განხილვის დროს ბავშვები გამოთქვამენ საკუთარ აზრებს და დასკვნებს, მასწავლებელთან ერთად მსჯელობენ შედეგებზე. შეჯამების შემდეგ შეიძლება გავამყაროთ მიღებული ცოდნა, რისთვისაც მივცეთ ბავშვებს საშუალება ქაღალდის დიდ ფორმატზე კოლექტიურად დახატონ ყველაფერი, რასაც ისინი ჩათვლიან საჭიროდ და მნიშვნელოვნად მოცემულ საკითხზე. ასეთი ნახატები შეიძლება დავკიდოთ კედელზე და დროდადრო გავიხსენოთ, რა არის მათზე გამოსახული.

შერეული ჯგუფი

ცნობილია,რომ ცოდნისა და უნარ-ჩვევების მიხედვით განსხვავებულ, მაგრამ ერთმანეთთან დაახლოებულ დონეებზე მდგომი ბავშვების ურთიერთობა კარგი სტიმულია მათი ინელექტუალური და შემეცნებითი განვითარებისა და სოციალური ჩვევების ჩამოყალიბებისთვის. ამიტომ მიზანშეწონილია 3-დან 6 წლამდე ბავშვების გაერთიანება ერთ ჯგუფში (შერეული ჯგუფი), და არა მათი დანაწილება ჯგუფებში ასაკის მიხედვით.

ასეთ ჯგუფში ასაკობრივი სხვაობა დიდი არ არის და მეცადინეობების უდიდესი ნაწილის ჩატარება შეიძლება ყველა ბავშვისთვის ერთად. ბავშვების ასაკი და განვითარების დონე გასათვალისწინებელია მაგიდებთან მუშაობისას - შეიძლება ზოგჯერ ასეთი მეცადინეობების დროს უმცროსებმა ითამაშონ ინტერესების მიხედვით, და თან ყური დაუგდონ (ან არ დაუგდონ) იმას, რაც მაგიდებთან ხდება. მაგრამ, როგორც წესი, უმცროსები ცდილობენ გააკეთონ იგივე, რასაც ასრულებენ უფროსები, და აქ საჭიროა დავალებების სიძნელის (და მეცადინეობის ხანგრძლივობის) დიფერენცირება. მაგალითად, უფროსები გამოჭრიან ფიგურებს, უმცროსები

კი მათ გააფერადებენ, ან დააწებებენ, ან უბრალოდ დაჭრიან ქაღალდს. მთავარია გვახსოვდეს, რომ ყოველი ბავშვი ასრულებს დავალებას თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, ამიტომ არ შეიძლება ნაშრომების შედარება. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ნამუშევრის უარყოფითად შეფასება, განსაკუთრებით, სხვების თანდასწრებით. შეიძლება გამოყენებულ იქნას ფორმა: შენ ძალიან კარგად გაკეთე, მაგრამ... (კიდევ უკეთესად შეგიძლია, სცადე კიდევ ერთხელ და ა.შ.).

მშობლებთან მუშაობა

მასწავლებლისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს მუშაობა მშობლებთან. მშობლებს არა მარტო აქვთ უფლება დაესწრონ მეცადინეობებს, ისინი აგრეთვე მორიგეობით ასრულებენ მასწავლებლის ასისტენტის როლს. ისინი ეხმარებიან მასწავლებელს როგორც ყოველდღიურ მუშაობაში, აგრეთვე ზეიმების, ექსკურსიებისა თუ სხვა ღონისძიებების ორგანიზებაში. მშობლები მეცადინეობებზე დასწრების დროს თვითონაც სწავლობენ, უკეთესად გებულობენ, რა სჭირდება მათ შვილს, რა მეთოდებით მიიღწევა სასურველი შედეგი. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი ატარებს მშობლებთან კონსულტაციებს, ეხმარება მათ სააღმზრდელო პრობლემების გადაწყვეტაში.

მასწავლებელი გარკვეული პერიოდულობით აწვდის მშობელს ინფორმაციას ბავშვის განვითარების კონტროლის შესახებ. მშობელი აწერს ხელს, რომ გაეცნო შემოწმების შედეგებს და, საჭიროების შემთხვევაში, იღებს მასწავლებლისგან რეკომენდაციებს ბავშვთან გაღრმავებული მუშაობის მეთოდიკის შესახებ.

IV. შინაარსი

1. სოციალურ-ემოციური სფერო

შინაარსი	მოქმედება
ბავშვი, როგორც პიროვნება (მეს-ცნობიერების განვითარება, საკუთარ თავზე დადებითი წარმოდგენის ფორმირება)	• ბავშვების სურათების და მათი სახელების გამოფენა ოთახში • თამაშები სარკის გამოყენებით • ავტოპორტრეტების ხატვა, კონტურები მუყაოზე • დაბადების დღეების აღნიშვნა
ოჯახი	• ოჯახის წევრების ჩამოთვლა, ოჯახის ისტორია (ფოტოები, მონაყოლი) • ოჯახის წევრებისათვის საჩუქრების დამზადება • ოჯახში როლები და მოვალეობები, როლების თამაში • დედის დღის აღნიშვნა, ბებიებისა და ბაბუებისადმი მიძღვნილი ზეიმი
საზოგადოება, ბავშვისთვის მნიშვნელოვანი ადამიანები	• ბავშვისთვის მნიშვნელოვანი ადამიანებთან შეხვედრები, ექსკურსიები სამეზობლოში • სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, მათი როლი საზოგადოების ცხოვრებაში. როლების თამაში
სამეზობლო	• ვინ ცხოვრობს ჩემთან ახლოს? - ცნება “მეზობელი”, “კარის მეზობელი”, “გვერდზე”, “მოპირდაპირე”, “ახლოს”, “შორს” • მეზობლების გაცნობა • სახლისკენ მიმავალი გზის შესწავლა -რას ვხედავ საბავშვო ბაღიდან სახლისკენ გზაზე • გეგმების ხატვა • ჩვენი სოფლის (ქალაქის) მნიშვნელოვანი ადგილები - მაგ, მაღაზია, სკოლა, აფთიაქი
როგორ ვცხოვრობთ	• სად ვცხოვრობ - მისამართი, ვინ ცხოვრობს ჩემს სახლში, ბინაში • ცნებები “სახლი”, “ბინა”, “სართული”, “ეზო”, “ღობე”, “ჭიშკარი” და ა.შ. • სახლებისა და ბინების ნაირსახეობები - სურათები, ფოტოები • როგრ ცხოვრობენ ზოგჯერ - კარავი, ვიგვამი, იგლუ და ა.შ. კარვის აშენება
ზეიმები და დღესასწაულები	• დღესასწაულები და ზეიმები - ვემზადებით, ვპატიჟობთ სტუმრებს • ვამზადებთ საახალწლო, სააღდგომო სათამაშოებს, საჩუქრებს, და ა.შ. • ადგილობრივი ტრადიციული ზეიმების გაცნობა და აღნიშვნა (ტანსაცმელი, კერძები, მუსიკა) • ვეცნობით სხვა ქვეყნების ზეიმებსა და ტრადიციებს

შინაარსი	მოქმედება
განსხვავებული ცხოვრების წესის, აზრის პატივისცემა	• თამაშები თემაზე "ჩვენ სხვადასხვანაირები ვართ" • ხედვის სხვასდასხვა კუთხე (მაგ, რას ხედავს ჭიანჭველა? მერცხალი?) • რას იტყოდა ამაზე ჩემი უმცროსი და? • სტუმრების მიღება, • სხვადასხვა ადამიანებთან კონტაქტები, სამეზობლოში სტუმრობა - საუბრის ზრდილობიანი ფორმები • ერთობლივი მოქმედება ვინმეს სასარგებლოდ - მაგ, კონცერტი სოფლის მაცხოვრებლებისათვის • საჩუქრების დამზადება - ავადმყოფისთვის, მეგობრისთვის
ემოციები	• მოძრავი თამაშები, თამაშები გავარდნაზე, რეაქციაზე • სხვების იმიტირება, მიბაძვა • დადებითი და უარყოფითი ემოციების შემჩნევა, სიტყვებით აღწერა • საკუთარი განწყობის გამოხატვა მუსიკით, ფერებით, მოძრაობით • საუბარი გრძნობების შესახებ ("ბავშვებს ზოგჯერ ეშინიათ", "რას ვაკეთებთ, როცა ვბრაზდებით" და ა.შ.)
ურთიერთობები	• თოჯინებით თამაში • სიტუაციის ადექვატური პასუხის ან კითხვის ფორმულირება (საუბარი ტელეფონით, ქუჩაში და ა.შ.) • მასწავლებელთან კომუნიკაციის თვისების განვითარება (მაგ, "არ მესმის, ამიხსენი, თუ შეიძლება" ან "კიდევ რისი თქმა გინადა?") • თანატოლებთან მეგობრული დამოკიდებულების აღზრდა, საკუთარი და სხვაბის ყოფაქცევის ობიექტური შეფასების განვითარება
სხვა ადამიანის მდგომარეობაში შესვლა, თანაგრძნობა. დახმარება და მოვალეობები	• უფროსების და ჯგუფელების დახმარება (უფრო სუსტების, უმცროსების) • ავადმყოფებთან, მოხუცებთან ურთიერთობა • ადამიანისადმი მზრუნველი დამოკიდებულების უნარის განვითარება • ამხანაგების დაცვა, მათთვის დახმარების გაწევა • სხვისი შრომის პატივისცემა • საკუთარი მოვალეობების შესრულება სახლში და ჯგუფში
გარემოს დაცვა	• გარემოს დანაგვიანების პრობლემის ელემენტების გაცნობა • ჯგუფში ნაგვის სეგრეგაცია (მაგ, გამოყენებული ქაღალდისთვის ცალკე ყუთი) • მეორადი მასალების გამოყენება, მათგან ახალი ნივთების შექმნა, წყლისა და ელექტროენერგიის ეკონომია

შინაარსი	მოქმედება
მედია-საშუალებები	• ინფორმაციის გადაცემის სხვადასხვა საშუალებების გაცნობა - წიგნები, გაზეთები, ჟურნალები, ფილმები, ტელევიზია, ინტერნეტი. გაზეთებით თამაში • ტელევიზია - პროგრამები ბავშვებისათვის • რეკლამა - რეკლამის ამოცნობა, თამაში - სხვადასხვა ნივთების რეკლამირება • კომპიუტერი - კომპიუტერით სარგებლობის მაგალითები, ინტერნეტი
საზოგადოების ცხოვრებაში მონაწილეობა, პატრიოტული აღზრდა	• ჩემი სოფელი (ქალაქი), ჩემი რეგიონი, ჩემი ქვეყანა • ჰერბი, დროშა, ეროვნული დღესასწაულები, ისტორიაზე საუბრები • ცნებები: საქართველო, ჰიმნი, ჰერბი, ემბლემა, სამშობლო • რუკების (გეგმაბის) გაცნობა. საქართველოს რუკაზე საკუთარი რეგიონის ჩვენება • საქართველოს რეგიონები. განსხვავებები (ტანსაცმელი, კერძები, მუსიკა) • სხვადასხვა ენა და დიალექტი

2. ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება

შინაარსი	მოქმედება
სპონტანური მოძრაობა	• სპონტანური მოძრავი თამაშები, იდივიდუალური და ჯგუფებში (სირბილი, ხტომები, ჩამოხტმა, ცოცვა, ფოფხვა, სრიალი და ა.შ.)
ვარჯიში	• დილის ვარჯიში, წინ კოტრიალები, წონასწორობის დაჭერა, ძელზე ჩამოკიდება, ვარჯიში რგოლებით, ბურთებით, სახტუნაობით, ვარჯიში მუცლის პრესისთვის (წყვილებად). • აერობიკის ელემენტები
მოძრავი თამაშები, სეირნობა და თამაში სუფთა ჰაერზე	• მოძრავი თამაშები, თამაშები მუსიკის თანხლებით • თამაშები სირბილით, სიგრძეში და სიმაღლეზე ხტომებით, მიზანში და მანძილზე სროლით. • გუნდური თამაშები სხვადასხვა წესებით, თამაშები ბურთით, თამაშები იარაღებზე (ცოცვა, ჩამოკიდება, წონასწორობა, გაძრომა ქვეშ, გადაძრომა, გადმოხტომა, ბალანსირება და ა.შ.) • თამაშები "სიგნალზე", ჯგუფის სხვა წევრების მოძრაობებზე დაკვირვებაზე

შინაარსი	მოქმედება
წვრილი მოტორიკა	• წვრილი საგნებით თამაში (მაგ, ერთმანეთში არეული ლობიოსა და ბრინჯის გარჩევა (“ნაცარქექია”), მძივების აკინძვა და სხვა) • მაკრატლით, ფანქრით, სხვა ინსტრუმენტებით სარგებლობა • პლასტელინი, ცომი, აპლიკაცია, კონსტრუირება • ქაღალდის დაკეცვა და გაჭრა, ფიგურები ქაღალდისგან • თითების თამაში, თამაშები წვრილი კუნთების განვითარებისათვის
ავადმყოფობა	• როგორ ვგრძნობთ თავს ავადმყოფობის დროს • როგორ მოვიქცეთ ავადმყოფობის დროს (ექიმთან შეხვედრა, პოლიკლინიკაში ექსკურსია),თემატური თამაშები • წამლები და აცრები
ავადმყოფობის პროფილაქტიკა - ჰიგიენა, ჯანსაღი ცხოვრების წესი	• პირადი ჰიგიენა, ხელების დაბანისა და კბილების გახეხვის აუცილებლობის ახსნა და სწავლება • ტანსაცმლის სწორი შერჩევა, მისი გამოცვლა გაჭუჭყიანების შემთხვევაში • ჯანსაღი კვების პრინციპების გაცნობა, პროდუქტები - სასარგებლო და არა, ვიტამინები • დასვენების ჰიგიენა, ძილი
უსაფრთხოება	• უსაფრთხოება ჯგუფში (წესების დაცვა) • ქუჩაში უსაფრთხო გადაადგილება • სახიფათო ინსტრუმენტები, მავნე მასალები, პროდუქტები, საოჯახო ქიმია - როგორ მოვეპყროთ • ცხოველებთან უსაფრთხო კონტაქტის პრინციპები, აგრეთვე უცხო ადამიანებთან • წამლები

3. შემეცნებითი განვითარება

შინაარსი	მოქმედება
ადამიანის სხეული	• სხეულის ნაწილები და მათი სახელწოდებები • გარეგნობის შედარება - თმა, თვალები, სიმაღლე, ასაკი და ა.შ. • გრძნობათა ორგანოები, მათი ფუნქციების შესწავლა, თემატური თამაშები და ექსპერიმენტები • კუნთები, მოძრაობების (ვარჯიშების) შესრულება • შიდა ორგანოებზე და მათ ფუნქციებზე წარმოდგენის შექმნა (გული, კუჭი და ა.შ.)

შინაარსი	მოქმედება
ტანსაცმელი	• ტანსაცმლის სხვადასხვა ნაწილების შესწავლა, სხვადასხვა ქსოვილების გაცნობა (ფაქტურა, ნატურალური/სინთეტიკური და ა.შ.) • სეზონური ტანსაცმელი • საკუთარი "კოლექციების" შექმნა, სხვადასხვა ქსოვილების გამოყენება სამხატვრო შემოქმედებისათვის, თოჯინების ჩაცმა • როგორ იცმევენ სხვადასხვა ქვეყნებში, კოსტუმის ისტორია
საჭმელი	• სხვადასხვა გემოები - მლაშე, მწარე, ტკბილი და ა.შ. • რისგან მზადდება სჭმელი - ბურღულეული, რძე, თაფლი, კაკალი და ა.შ.) • ხილი და კენკრა - წვენები, კომპოტები, მურაბები • ბოსტნეული, მწვანილი • უმი, მოხარშული, შემწვარი, წვნიანი და ა.შ. • საუზმე, სადილი, ვახშამი, ცივი კერძები, დესერტი • საჭმელად ვარგისიანი რა იზრდება ჩვენს სოფელში და როგორ ვჭამთ მას? - კვლევა • ღვინო. რისგან ამზადებენ? როგორ? • ბავშვების მიერ სხვადასხვა კერძების დამზადება (ცხობა, სალათები) - ჯგუფში ან სახლში
ბუნებრივი სიმდიდრეები და მასალები	• სხვადასხვა მასალების სიდიდის (მოცულობის), ფაქტურისა და წონის შედარება (ქვიშა, ქვები, ხე, ბუმბული და ა.შ.) • რას გავძლევს დედამიწა, ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენება • თამაშები წყლით, ქვიშით. მშენებლობა.
ამინდი	• ყოველდღიური დაკვირვება, ამინდის კალენდარი. რას ვგრძნობთ მზეზე? ქარის დროს? წვიმაში? • წვიმა, ქარი, თოვლი, სეტყვა, ელვა, ცისარტყელა • სხვადასხვა სახის წვიმა - თავსხმა, ჟუჟუნა წვიმა, მზე პირს იბანს, ჭექა-ქუხილი და ა.შ. • ღრუბლებზე დაკვირვება. სხვადასხვა სახის ღრუბლები. ფანტაზიები - რას გვაგონებს ღრუბლები? • სტიქიური უბედურებები - წყალდიდობა, ქარიშხალი, მიწისძვრა
მზე	• რა გვაძლევს სითბოს? რატომ ცივა ზამთარში? • დღე და ღამე. მთვარე და ვარსკვლავები • ცეცხლი, კოცონის დანთება • შუქი და ჩრდილი. ჩრდილების თამაში, მზის სხივების არეკვლა სარკით, ექსპერიმენტი - ქაღალდზე ცეცხლის მოკიდება გამადიდებელი შუშის მეშვეობით • ელექტრული შუქი, სანთლის შუქი • სიბნელეში თამაში

შინაარსი	მოქმედება
ბუნებრივი ციკლები	• დღე-ღამე. ცნებები: გუშინ, დღეს, ხვალ • კვირა. კვირის დღეების სახელები. რა დღეა დღეს? რა ხდება კვირაობით? და ა. შ. • წელიწადის დროები. რა ხდება ახლა,, რა დროა? რომელი იყო მანამდე, რომელი იქნება შემდეგ? • რითი ხასიათდება წელიწადის ყოველი დრო, მცენარეები და ცხოველები წელიწადის დროების მიხედვით - უშუალო დაკვირვებები • კალენდარის გაცნობა
წყალი	• წყალთან თამაში, სხვადასხვა ჭურჭელში გადასხმა, წყალში სხვადასხვა საგნების მოთავსება (ტივტივებს, იძირება, იხსნება და ა.შ.) • წყლის თვისებების კვლევა (უფერო, სითხე, გემოსა და სუნის გარეშე და ა.შ.) - ექსპერიმენტები • წყლის აგრეგეტული მდგომარეობა - ყინული, სითხე, ორთქლი. დაკვირვება და ცდები. თოვლის ფიფქები, სეტყვა, ლოლოები. • წყლის აორთქლება (გაშრობა) - ცდები • წყლის ბრუნვა ბუნებაში. ნისლი, ღრუბლები • მტკნარი და მლაშე წყალი - მდინარე, ტბა, ზღვა • რისთვის გვჭირდება წყალი? სუფთა და დაბინძურებული წყალი, სასმელი წყალი. წყლის ეკონომია • ექსკურსია მდინარეზე ან ტბაზე, წყლის მცენარეები და ცხოველები
ჰაერი	• სუნთქვა • თბილი და ცივი ჰაერის მოძრაობა, კოცონის კვამლზე დაკვირვება • ჰაერის მოძრაობაზე დაკვირვება - ქარი, ქარის მიმართულების განსაზღვრა, იალქნები და ფლიუგერები • ექსპერიმენტები ჰაერის მოძრაობაზე ოთახში, თამაშები ბუშტებით, საპნის ბუშტები. ორპირი ქარი
ხმები	• ხმები ჩვენს გარშემო (გამეორება, გამოცნობა, ჩაწერა) • ხმამღალი და ჩუმი, მაღალი და დაბალი ხმა. გამა. • ყურს ვუგდებთ ბუნების ხმებს

შინაარსი	მოქმედება
მცენარეები	• სეირნობის დროს მცენარეებზე დაკვირვება - ხე, ბუჩქი, ბალახი, სოკო, ყვავილი, ნაყოფი • წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეები, მარადმწვანე, ფოთოლცვენა, ყვავილობა, ხეხილი • ხეების გარჩევა ფოთლებისა თუ სხვა ნიშნების მიხედვით, ჰერბარიების შედგენა • ბაღი და ბოსტანი, ხილი და ბოსტნეული, ყვავილების ნაირსახეობები • მცენარეთა ზრდისათვის აუცილებელი პირობები (სითბო, შუქი, წყალი, ნოყიერი ნიადაგი) - ცდები • მცენარეთა ზრდაზე დაკვირვება, ჯეჯილის, მწვანილის, ყვავილების დათესვა და მოვლა • ფესვები, მცენარეთა კვება - ცდები
ფრინველები	• შინაური ფრინველები - სახეები, ქცევა, წყლის ფრინველები - დაკვირვებები • ფრინველების ნაირსახეობები, საქართველოს ფრინველები, ეკზოტიკური ფრინველები • რას ჭამენ ფრინველები - ნისკარტების ნაირსახეობები. რატომ უნდა ვიზრუნოთ ფრინველებზე ზამთარში - საკვებური ფრინველებისთვის. • კვერცხები, ბარტყები, ბარტყების გამოკვება • ფრინველებზე დაკვირვება: გაზაფხულზე - ფრინველების დაბრუნება, ზაფხულში - ბარტყების გამოზრდა, ზამთარში - ჩიტები საკვებურთან.
წვრილი ცხოველები, მწერები	• დაკვირვებები სეირნობის დროს - პეპლები, მუხლუხოები, ხოჭოები, ლოკოკინები, ხვლიკები, ბაყაყები და ა.შ. • მუხლუხოების შეგროვება, მათი ჭმევა, დაჭუპრებაზე და პეპლების გამოსვლაზე დაკვირვება • დაკვირვებები გუბეებში, ტბაზე - ბაყაყები და თავკომბალები, ნემსიყლაპიები და ა.შ. აკვარიუმი
ცხოველები	• შინაური ცხოველები. რა ცხოველები გვყავს სოფელში? რა შეგვიძლია გავიგოთ მათ შესახებ? - კვლევა • გარეული ცხოველები; მტაცებელი და ბალახისმჭამელი, ზღვისა და ხმელეთის, თბილი ქვეყნებისა და ჩრდილოეთის ცხოველები და ა.შ. • საქართველოს ცხოველები, მათი საარსებო გარემო, თავისებურებები • რა არის ნაკრძალი, წითელი წიგნი

შინაარსი	მოქმედება
ეკოსისტემები	• უდაბნო, სავანა, ჯუნგლები, ტროპიკული ტყე, მაღალი მთა, ალპიური მდელოები • ტბა, მდინერე, ზღვა (ოკეანე) • რა არის ჩვენს გარშემო? რატომ უნდა დავიცვათ ტყე? რატომ არ უნდა გადავყაროთ ნაგავი მდინარეში?
მანქანები და გამოგონებები	• მანქანები და ხელსაწყოები ჩვენს გარშემო • ბორბალი. თამაშები და ცდები ბორბლის თვისებებზე. კონსტრუქტორი • უბრალო იარაღებისა და ხელსაწყოების გაცნობა და ხმარების სწავლა
ტრანსპორტი	• ტრანსპორტის სახეობები - თამაშები • მოძრაობის წესები • სპეციალური მანქანები - სახანძრო, საწრაფო დახმარება. ამ სამსახურების გაცნობა.
სივრცეში ორიენტირება	• საგნების ურთიერთგანლაგება სივრცეში (წინ, უკან, გვერდზე, შიგნით, გარეთ, და ა.შ.) • ცნებები: მარჯვენა-მარცხენა, ზემო-ქვემო, წინა-უკანა და ა.შ. • მიმართულება: მარჯვნივ-მარცხნივ, ზევით- ქვევით, წინ-უკან, მოძრაობის დროს შესაბამისი ინსტრუქციების შესრულება • გაგმებისა და რუკების ხატვა
რითმები და დრო	• რიგების შექმნა, რითმების გამეორება - მხედველობით და სმენით • ცნებები: ხანგრძლივი -მოკლევადიანი, დიდხანს, იქამდე, შემდეგ, გუშინ, ხვალ • ცნებები: საათი, დღე, კვირა, თვე, წელიწადი. • დროის გაზომვა - სწრაფად, ნელა • დროის საზომი ინსტრუმენტები
მიზეზები და შედეგები, მოვლენების თანმიმდევრობა	• მოვლენების ლოგიკური თანმიმდევრობის ჩამოყალიბება, მოქმედების დაგეგმვის ელემენტების შემოტანა • მოვლენებზე დაკვირვება, ცდების დროს შეკითხვების დასმა • მთელის შექმნა ნაწილებისგან - მოზაიკები და პაზლები
კოლექცია, კლასიფიცირება	• ელემენტების დაჯგუფება, შედარება (ასეთივე, განსხვავებული), მოწესრიგება, დახარისხება • თამაში ზედმეტი ელემენტის გამორიცხვაზე • ერთგვაროვენი საგნების კოლექციების შექმნა, მათი შედარება საგნების რაოდენობის მიხედვით

შინაარსი	მოქმედება
საგნების გადათვლა, ნუმერაცია	• კონკრეტული ობიექტების გადათვლა. ობიექტების დამატება, გამოკლება (მეტი, ნაკლები, იმდენივე), განაწილება • სხვადასხვა ზომის (სახეობის) საგნების რაოდენობის შედარება • რიგითი ნუმერაციის გამოყენება, ობიექტების ნუმერაცია (მაგალითად, საფეხურების). • დათვლა 1-დან 10-მდე და უკან
ციფრები	• ციფრების გაცნობა და რიცხვი 10 • ციფრისა და საგნების რაოდენობის ურთიერთშესაბამისობა
გეომეტრიული ფიგურები	• ძირითადი გეომეტრიული ფიგურების გაცნობა და გარემოცვაში შესაბამისი ფორმების დანახვა. • გეომეტრიული ფიგურებიდან კომპოზიციების შექმნა (აპლიკაცია, გაფერადება, ორიგამი)
გაზომვები	• სიდიდის შედარება - რომელია უფრო დიდი (პატარა) • საგნების დახარისხება სიდიდის მიხედვით, დალაგება ზრდადობის/კლებადობის მიხედვით. • ცნებები: სიგრძე, სიგანე, სიმაღლე და ა.შ. გაზომვები. • შედარება: უფრო გრძელი (მოკლე), უფრო დაბალი (მაღალი), უფრო განიერი (ვიწრო) და ა.შ. • ადამიანი: მაღალი, დაბალი, გამხდარი, მსუქანი - ბავშვების სიმაღლის გაზომვა და შედარება
წონა	• სხვადასხვა სასწორებით აწონვა • წონის შედარება - მძიმე, მჩატე • გაწონასწორება. აიწონა-დაიწონა. ბერკეტის გაცნობა

4. ლიტერატურა და მეტყველების განვითარება

შინაარსი	მოქმედება
ბგერების სწორად წარმოთქმა	• "რთული" ასოების სწორად წარმოთქმა. სისინა, შიშინა და ნარნარა ბგერები. ლექსები, გამოცანები, ენისსატეხები, თამაში • სიტყვებში პირველი და ბოლო ბგერების განსაზღვრა, ბგერების გამოყოფა • სიტყვების დამარცვლა • ებიანი მხოლობითისა და მრავლობითის წარმოება

შინაარსი	მოქმედება
ლექსიკის განვითარება, სიტყვების აზრობრივად სწორი აღქმა და გამოყენება	• სინონიმები და ანტონიმები - თამაშები • ზოგადი ცნებების აღმნიშვნელი სიტყვები • თამაში საგნის მახასიათებელი სიტყვის მაქსიმალური რაოდენობის მოფიქრებაზე • ხალხური პოეზია, ანდაზები, გამოცანები • თავაზიანი მიმართვის გამომხატველი სიტყვებით აქტიურად სარგებლობა • სურათების მიხედვით მოთხრობის შექმნა
მხატვრული ლიტერატურის გაცნობა და ემოციურად აღქმა	• ზღაპრების, მოთხრობების, ლექსების სისტემატური კითხვა • საუბარი მოსმენილის ირგვლივ, პერსონაჟებისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, სამართლიანობის გამოვლენა • მოსმენილი ამბის თხრობა სხვადასხვა ხერხებით, მაგალითად, ერთ-ერთი პერსონაჟის სახელით. • ზღაპრების ილუსტრირება, ინსცენირება • მოსმენილის დასათაურება, გაგრძელების მოგონება
ენა როგორც ადამიანებს შორის კომუნიკაციის საშუალება	• საკუთარი აზრის გამოთქმისა და სხვისი ნათქვამის მოსმენის უნარის განვითარება - საუბარი დღის მოვლენებზე, საკუთარი აზრის ფორმულირება, საკუთარი გეგმების გაზიარება, ამბის მოყოლა.
სიტყვა და ტექსტი როგორც შემოქმედებითი ექსპრესიის გამოხატვა	• დადგმები - მოკლე როლები, ლექსები და სიმღერები, თამაშები დრამატურგუილი და იპროვიზაციის ელემენტებით • საკუთარი ისტორიების შექმნა, მათი ილუსტრირება მოძრაობით ან სკულპტურით • თამაშები შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაზე (მაგ, “რა იქნებოდა, თუ..”)
ნაწერი, როგორც კომუნიკაციისა და აზრის გადაცემის საშუალება - კითხვისთვის მომზადება	• დაწერილი ნაცნობი სიტყვების ამოცნობა (მაგ, საკუთარი სახელი, კვირის დღეები, მაღაზიის, ცხოველების, მცენარეების სახელწოდებები) • თემატური თამაშები წარწერების გამოყენებით - მაღაზია, ოფისი • თამაშები ლექსების, რითმების მოსმენაზე (როთმოცანები), კონკრეტულ ასოზე (დაწყებული ან დაბოლოვებული) სიტყვების გამოყენებით • ასოების გაცნობა. ქართული და უცხოენოვანი წარწერების ერთმანეთში გარჩევა. • ილუსტრირებული წერილი

შინაარსი	მოქმედება
წერისთვის მომზადება	• გრაფომოტორიკული უნარ-ჩვევების განვითარება - ხატვა პუნქტირის მიხედვით, გაფერადება, ორნამენტები, ჰაერში ან დაფაზე თითით ნიშნების შემოხაზვა. • მანუალური მომზადების სრულყოფა (აპლიკაციები, ხატვა, ძერწვა და ა.შ) • უჯრების დაშტრიხვა, ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზების გავლება, შემოხაზვა

5. ხელოვნება

შინაარსი	მოქმედება
მუსიკა	• სხვადასხვა სახის მუსიკის მოსმენა - საბავშვო, ხალხური, კლასიკური, ჯაზი და ა.შ • მხიარული და სევდიანი მუსიკა, რა გვესმის, რას ვგრძნობთ? • ხატვა მუსიკის მოსმენის დროს, თავისუფალი მოძრაობა - მუსიკის ხასიათის გადმოცემა • მოძრავი და სარელაქსაციო მუსიკალური მეცადინეობები
სიმღერა	• საბავშვო სიმღერების მოსმენა და შესრულება • თამაშები ნოტების გამოცნობაზე • ქართული ხალხური სიმღერები
ინსტრუმენტები	• მუსიკალირი ინსტრუმენტების გაცნობა, მოსმენა • როგორ უკრავენ ინსტრუმენტებზე - სხვადასხვა ტიპის მუსიკალური ინსტრუმენტები • ქართული სახალხო საკრავები
ცეკვა	• ცეკვის ელემენტების შესწავლა - ქართული ცეკვები, თანამედროვე ცეკვები • თავისუფალი ცეკვა, საკუთარი ცეკვის შექმნა

შინაარსი	მოქმედება
ხატვა	• ფერები. ძირითადი ფერები, ფერების შერევა • გაფერადება, ხატვა - ფანქრებით, საღებავებით, ცარცით, პასტელით - თითებით, ფუნჯით, ღრუბლით, და ა.შ. • საღებავები, გუაში, თავის ხელით დამზადებული საღებავები • ხატვა სხვადასხვა მასალაზე - ქაღალდი, ქსოვილი, ქვა, ხე • გამოჭრა, აპლიკაციები.
დამოუკიდებელი სამხატვრო შემოქმედება	• ხატვა თავისუფალ ან მოცემულ თემაზე, მუსიკის თანხლებით • კოლაჟები და ორიგამი • ზღაპრების ილუსტრირება • მისალოცი ბარათები, მოსაწვევები, და სხვა • კოლექტიური ნამუშევრების შექმნა
სამგანზომილებიანი კონსტრუქციები	• სხვადასხვა მასალების გამოყენება - პლასტელინი, ცომი, მუყაო, თიხა, ქვები - ფიგურებისა და სხვა სამგანზომილებიანი კოსტრუქციების შექმნისთვის • ელემენტების შესაერთებლად სხვადასხვა ტექნიკისა და ინსტრუმენტების გამოყენება - წებო, სტეპლერი, სკოჩი, ბაწარი • მოდელების შექმნა, ფანტასტიკური კონსტრუქციები

ინფორმაცია ორგანიზაციების შესახებ:

საგანმანათლებლო საზოგადოება "ედუკატორი"

EDUKATOR

საგანმანათლებლო საზოგადოება ''ედუკატორი'' დაფუძნდა 1999 წელს პოლონეთში, ქალაქ ლომჟაში. ორგანიზაცია შეიქმნა ადამიანთა ჯგუფის შინაგანი მოთხოვნილების შედეგად - იმოქმედონ და საკუთარი პროპესიონალიზმი მოახმარონ საზოგადოების დახმარებას. მცირე სკოლების ლიკვიდაციის პროცესი, რომელიც წამოიწყო სხვადასხვა დონის ადგილობრივმა თვითმმართველობებმა, გააჩინა უამრავი დაზარალებული, რომლებიც ეძებდნენ დახმარებას და გადარჩენის გზებს. 2000 წელი განსაკუთრებით მძიმე იყო პატარა სკოლებისათვის. ეკონომიკური მიზეზების გამო გმინებმა მასიურად დაიწყეს მათი ლიკვიდაცია საზოგადოებრივ-კულტურული ვითარებისა და სასოფლო ტერიტორიების მაცხოვრებელთა აზრის გათვალისწინების გარეშე. 2000 წლის 1 სექტემბრიდან „ედუკატორს“ სამართავად გადაეცა 2 სოფლის სკოლა.

დღეს, 12 წლის მუშაობის შემდეგ, "ედუკატორი" არის პოლონეთში ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც კურირებს სოფლის სკოლებს არა ლოკალურად, არამედ დიდ ტერიტორიაზე, ხშირად ძალიან შორს ორგანიზაციის ოფისიდან. "ედუკატორი" კურირებს 40 სკოლას, ორ საბავშვო ბაღს, და სკოლამდელი განათლების 20 ალტერნატიულ ჯგუფს, რომლებიც განლაგებულია 4 რეგიონის ტერიტორიაზე.

ორგანიზაცია „ედუკატორის“ მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ალტერნატიული სკოლამდელი განათლება. სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის საგანმანათლებლო მომსახურების კომერციალიზაციისადმი წინააღმდეგობის გაწევა, სოფლის ბავშვების საგანმანათლებლო შანსების გათანაბრება. ყველა სკოლაში, რომელსაც კურირებს „ედუკატორი“, 2004 წლიდან მუშაობს სკოლამდელი განათლების სხვადასხვა ტიპის ჯგუფები, რომლებიც ემსახურება 3-დან 5 წლამდე სოფლის ბავშვებს.

საზოგადოება „ედუკატორს“ აქვს მასწავლებლებთან მუშაობის დიდი გამოცდილება, მათ შორის, რუსეთში, უკრაინაში და საქართველოში. "ედუკატორი" მასწავლებლებთან ერთად ცდილობს ჩართოს ახალგაზრდები სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროცესში.

საზოგადოება „ედუკატორი“ მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივ თვითმმართველობებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან როგორც პოლონეში, ასევე მის საზღვრებს გარეთ.

ამჟამად „ედუკატორი“ არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საზოგადოებრივი ორგანიზაცია პოლონეთში, რომელიც მუშაობს განათლებისა და სკოლამდელი განათლების სფეროში და ადგილობრივი საზოგადოების აქტივიზაციისათვის.

საერთაშორისო ასოციაცია "კივიტას გეორგიკა"

საერთაშორისო ასოციაცია "კივიტას გეორგიკა" 1996 წელს დაფუძნდა იმ ადამიანების მიერ,რომელთაც სწამთ, რომ საქართველო ევროპულ ფასეულობათა ქვეყანაა. ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ საქართველოში დემოკრატიული და ეფექტური თვითმმართველობის და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, დემოკრატიულ რეფორმებს და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის დონის ამაღლებას.

ორგანიზაციის საქმიანობის მთავარი სამიზნე ჯგუფები/ბენეფიციარებია ადგილობრივი თვითმმართველობები, ეთნიკური უმცირესობები და მარგინალიზებული ჯგუფები (იძულებით გადაადგილებული, სოციალურად დაუცველი ჯგუფები), ახალგაზრდები და ბავშვები, რეგიონალური ორგანიზაციები.

ჩვენ გვწამს, რომ ადგილობრივი დემოკრატიის აშენება და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება შეუძლებელია იმ ადამიანთა აქტიური მონაწოლეობის გარეშე, რომლებიც მზად არიან საკუთარი პიროვნული და პროფესიული წვლილი შეიტანონ საზოგადოების განვითარებაში. ამიტომაც ავირჩიეთ დევიზად „თანამშრომლობა განვითარებისათვის".

საქართველოში ღია, ეფექტური და დემოკრატიული მმართველობის სისტემის ჩამოყალიბება, გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოების კომპეტენტური თანამონაწილეობის ზრდა, ადგილობრივი თემის გაძლიერება და მდგრადი განვითრება - ეს ის მიზნებია, რომლის ხელშეწყობაშიც ხედავს თავის მისიას კივიტას გეორგიკა.

"კივიტას გეირგიკას" უკვე განხორციელებული აქვს 50-ზე მეტი დიდი და მცირე პროექტი, რომელთა უშუალო ბენეფიციართა რიცხვი 250 000-ზე მეტია.

"კივიტას გეორგიკა" არის რამდენიმე ქსელის წევრი: ENTO - ტრენინგ ორგანიზაციათა ევროპული ქსელი, CEE CN - ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამოქალაქო ქსელი. კივიტას გეორგიკას განხორციელებული აქვს ან ამჟამად ახორციელებს ერთობლივ პროექტებს პარტნიორებთან ჩეხეთიდან, რუმინეთიდან, უნგრეთიდან, სლოვაკეთიდან, უკრაინიდან და პოლონეთიდან.

АННОТАЦИЯ

Данная книга предназначена тем, кто заинтересован развитием образования в Грузии, в частности, развитием дошкольного образования. Она является итогом работы по улучшению качества и повышения доступности дошкольного образования, которую в течении последних пяти лет проводили в Грузии общественно–образовательное общество «Эдукатор» (Польша) совместно с международной ассоциацией «Кивитас Георгика» (Грузия).

После реформы образования в 2006 году, отсутствие государственной концепции дошкольного образования и нехватка средств у органов местного самоуправления привели к тому, что по всей Грузии началась массовая ликвидация детских садов. В качестве выхода из этой ситуации «Эдукатор» и «Кивитас Георгика» решили применить польский опыт - распространить в Грузии модель альтернативного дошкольного образования. За прошедшие 5 лет были успешно реализованы 10 проектов, спонсированных Министерством иностранных дел Польши и Программой RITA – (Region In Transition) Польско-Американского Фонда Свободы.

Книга состоит из двух частей. В первой части говорится о важности дошкольного образования, описывается модель альтернативного дошкольного центра и значение подобных ценров для развития сельских территорий. Показано, как осуществляется эта модель на практике, и каких результатов удалось достичь за истекшие 5 лет.

Во второй части книги помещены статьи, уже публиковавшиеся ранее, а также выдержки из авторской программы дошкольного центра образования – для тех, кто захочет более подробно ознакомиться с законодательством или экономическим положением сферы дошкольного образования в Грузии, или с методикой и принципами работы дошкольного центра.

Civitas GEORGICA

polska pomoc

SOS POMOC POKRZYWDZONYM I NIEPEŁNOSPRAWNYM EDUKATOR

“კივიტას გეორგიკა”

წინამძღვრიშვილის ქუჩა 97
თბილისი, 0164, საქართველო
ტელ: (+ 995 32) 951991
office@civitas.ge
www.civitas.ge

“EDUKATOR”

ul. Wojska Polskiego 29A
18-400 Lomza
Tel: (+48) 862150463
sosedukator@poczta.onet.pl
www.sosedukator.pl